

644 /2  
2011

# ცხენი

ქართული  
სიფუფიურებითი  
ქუჩნალი

პოეზიის ასი შედეგები

- ემიგრანტი პოეტები
- უფრაში ჩაკეტილი პოემა – სტალინი
- პოეზიის უსახელო უფლისციხელები
- ის, რაც არასოდეს დაბეჭდილა
- ილიას გვლელოვის სანიღუმლო
- გენიოსების ფარული პოლემიკა
- პაოლო იაშვილის თვითგვლელობა
- „ჩეკან“ პირველი თავგვლელობარის მოგონებები
- ასი სამარცხვინო ლექსი

2011

3-4



## მეზუსრი სამეზონისა

დოკუმენტური ღრბაბა ორ მომეფეზბა

### მომეფეზი პირნი:

გიორგი მეცამეზე - საქართველოს მეფე  
მარიამ დედოფალი - მისი მეუღლე  
დავითი - ამათი შვილი, ტახტის მემკვიდრე  
ლიონიძე - გიორგი მეფის მრჩეველი  
გარსევანი ჭავჭავაძე - საქართველოს ელჩი რუსეთში  
იოანე ორბელიანი - სარდალი  
მუხრანბატონი - სარდალი  
რატიშვილი - თავადი  
ზედგინიძე - თავადი  
ვახტანგი - ძე ერეკლე მეფისა  
დარეჯან დედოფალი - ამისი დედა  
ბერიაკა

### პირველი მომეფეზბა

სინათლის სხივში ბერიაკა მოექცევა - გაბადრული, მოლიმარი ბერიაკა დარბაზს ყურადღებით შესცქერის. უცებ აქვითინდება.

ბერიაკა იტირეთ და ივიშვიშეთ, ქართველნი, ცრემლით დაალბეთ ეს დედის რძესავით გემრიელი მინა. როცა ალა მამამად ხანმა სატახტო ქალაქი ნაცარტუტად გვიქცია, სასახლის კარზე კაცი არ აღმოჩნდა, სამეფო გვირგვინს გაფრთხილებოდა. ვაი, ვაი, ვაი! (გაიჩინდება, ლიმილით.) იმ დღიდან მეფე ერეკლემ

ლაზარევი - გენერალი  
კოვალენსკი - მინისტრი  
როსტოჩინი - გრაფი  
მუსინ-პუშკინი - გრაფი

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე  
ზოლოტარევი - რუსი დიდებული  
ვესევი -  
ბეკლემევი - გენერალ-პროკურორი  
პირველი კახელი  
მეორე კახელი  
პირველი თავადი  
მეორე თავადი  
მესამე თავადი

მთელი სამი წელიწადი ისე იმეფა, თავზე გვირგვინი არ დაუდგამს, მისი მემკვიდრე - გიორგი დღესაც უგვირგვინოდ ზის რომელიღაც ხელოსნის მიერ გაჩორკინელ ტახტზე.

### შუი სცენაზე.

სცენა ცარიელია - შორეულ პლანში ციხე-ტაძართა, სასახლეთა ნანგრევები მოჩანს, შიშველი სივრცე მოქმედების მსვლელობის პარალელურად ივსება აუცილებელი რეკვიზიტით.

დღეს, რომორც გუშინ...

## გუჩამ ბათიაშვიდი

სცენის ერთ კუთხეში რუსეთის იმპერატორის – პავლე პირველის მუნდირი განათდება.

კართუხუცესის ხმა. საქართველოს მეფის – გიორგი ერეკლის ძის რწმუნებული – მოციქული თავადი გარსევიან ჭაფჭავაძე.

ჭაფჭავაძე (შემოდის, მიმართავს იმპერატორ პავლე პირველის მუნდირს). დიდო იმპერატორო, ვემზობი თქვენს წინაშე და მოგართმევ ქართლ-კახეთის მეფის გიორგი ერეკლის ძის ვედრებას (იმპერატორის მუნდირი ხმას გამოსცემს, ჭაფჭავაძე ამას თანხმობის ნიშნად მიიღებს და იწყებს წერილის კითხვას): „ნელი-ნადი ათას შვიდას ოთხმოცდამეთვრამეტე. ოქტომბერი. თქვენი იმპერატორობითი დიდებულების სიგული გრაფმა მარკოვმა გადმომცა. ჩემი მდგომარეობა იძულებულს მყოფს გთხოვთ იყოთ მფარველი ჩემი სამეფოსი, გვსურს თქვენი დიდებულების მფარველობა საუკუნოდ გვედგას, რომ აღარ გვჭიროდეს სხვა სამეფო კარი. გთხოვთ სიგელითვე დაამტკიცოთ ჩემი მეფობა, ხოლო ჩემს მემკვიდრედ აღიაროთ ჩემი შვილი დავითი. ასევე მსურს თქვენი მზრუნველობის დასტურად გამოგვიგზავნოთ სამი ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებითა და ხარჯით და ეგრე ვიყოთ საუკუნოდ – აღსასრულამდე სოფლისა.“

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი მეათსამეტე“.

დაბნელება  
 თბილისი, თავადთა საკრებულო.

I თავადი. გამოფხიზლდით, ქართველნო, რას გვიშვრება მეფე გიორგი!

II თავადი. გიორგიმ თავმოკვეთილი საქართველო რუსთ მეფეს მიართვა – თან დააყოლა, დიდად მსურს შენი ყურმოჭირილი მონა ვიყო.

III თავადი. ხმა გაიღეთ, ქართველნო, ეგ ჩვენი თვალბატულა სამშობლო ლანგარზე დასდეს და იმპერატორ პავლეს მიართვეს.

I თავადი. ისიც მოსწვდა ჩემს ყურს, ტანთ ჩამაცევი, შემოსოვო, ეაჯება თურმე!

III თავადი. ამით ის სწაღიათ, სპარსთ მოგწყვიტონ და რუსულ დათეს ატორინონ ჩვენი სხეული.

II თავადი. ოსმალითი?! განა ოსმალოს ეგრე მიგდება იქნება? ვის შერჩენია, ვეფო, რო გიორგის შერჩეს.

III თავადი. სპარსიც, ოსმალოც მეზობელია, ყურისძირშია, რუსეთი კი სად არი, სანამ რუსი მოვა, ოსმალო დედას გვიტირებს, სპარსი – მით უფრო!

I თავადი. ეგ გუშინინდელი ამბავია, თავადო, რუსი უკვე კავკასიონის ქედზე დგას, მოდის და მოდის!

II თავადი. დარიალის კარი ჩვენის ნებით გაუვლეთ?



გარკვეული

III თავადი. ჰეა მებასა, ჰეა გიორგისა და მის ამქარსა, მებათ სნადიათ, რუსებს უნილბედონ საქართველო.

I თავადი. მაგიტომაც არ დაგეზოგა ალა მაჰმადმა. სატახტო ქალაქი გადაგვიზოგა, ახლა ოსმალის ჯერი.

II თავადი. ბაბა ხანი უკვე გოგრის ტბასთან დგას და იქადის, პირისა მინისაგან უნდა აღვგავიო ქართველნი.

III თავადი. ჭირი არ სცილდება საქართველოს, ჭირი უგონო პატრონთა გამო!

**კვლავ განათდება იმპერატორის მუნდირი.**

ჭაჭვაბაძე. მეორე თხოვნა მეფე გიორგი ერეკლეს ძისა: საქართველოს მეფე უმორჩილესად გთხოვთ შემდგომისათვის (კითხულობს) „აღთქმული იქნას, რომ ჩემი შთამომავალნი საუკუნოდ და შურყყველად იმეფებენ საქართველოში და არავინ სხვა არ ერეოდეს ჩემს შინაურ საქმეში. ჩემს თავდა-ზანაურებთან, სხვა ქვეშევრდომებთან საქმე არავის არ ჰქონდეს-რა. ჩემი ნინაპარნი ყოველთვის ერთგულნი იყვნენ რუსეთისა და მეც ჩემის მხრით აღთქმასა ვეძებ, რომ ქვეშევრდომობის ერთგულებაში ნინაპარებს აღვემატო“. (კითხვას ამოვარდობს) თქვენო უდიდებულესობავე, იმპერატორო რუსეთისა, მეფე ჩემი - გიორგი ერეკლეს ძე ამასთან გთხოვთ (კვლავ კითხულობს მეფე გიორგის წერილს). „არცხუ თქვენი ძლიერკაციანი ჯარი საქართველოში ყოვილა, ბოროტნი კაცნი ყოველთვის რაღაცებს იგონებდნენ და შულს აჩენდნენ თქვენი და ჩვენი ჯარის უფროსთა შორის. ამიტომ გთხოვთ აქ გამოსავზავნ ჯარის უფროსს უბრძანათ, მარტო ჩემთან იქონიოს საქმე“. (ჭაჭვაბაძე მუნდირს შესცქერის).

**კართუხუცესი. განაგრძეთ, იმპერატორი გისმენთ.**

ჭაჭვაბაძე (განაგრძობს მეფე გიორგის წერილის კითხვას). „ადრე თქვენა გხადით ჩემდა ხელწიფედ და ვსასოგს, რომ თქვენდა მძმართ გამაწვდლინი ხელნი ჩემნი უსუქვეულ არ იქნებან“.

**დაბნელება**

**მოისმის ნარმატაცი ქართული მუსიკა, შეძახილები:**

- დიდება მეფეს!
- მეფე გიორგის მტრის ძლევა მისცეს ღმერთმა!
- რუსი მოდის, რუსი მოდის!
- იხარე, ქართველო! მოკვდი, მტერო!
- ამქვეყნად ჩვენც გვეყოლა მოკეთე!
- გუმინოდეთ, ქართველთ მოძულენო!
- მოეცალეთ, რუსი ჩვენთან არის!
- დედას გიტირებთ, ბაბა ხანი!
- იქით, იქით ჩაინით, აქ ბაბა ხანის კუბო უნდა დადგან!

**შუქი სცენაზე.**

ანჩისსატის ეკლესიასთან სიხარული გამეფებულა. თბილისელებს ცეკვა-თამაში გაუმართათ.

ბერკა. 1799 წლის 23 ნოემბერს მთელი ქალაქი მხიარულობდა, ცეკვა-თამაშს, სიმღერას ბოლო არ უჩანდა - ტფილისში შემოვიდნენ კოვალენსკი და

გარკვეად ჭაჭვაბაძე, სასახლიდან ანჩისსატამდრუსისის ჯარი ორ მსკრივად იდგა. მეფე გიორგიმ სულ თავის დაკრითა და ღიმოლით გაიარა ამ მსკრივში.

ლაზარევის ხმა (კულისებდანი). მარშ, ნაბოჯით იარ!

გვესმის, როგორი მსეობრი ნაბოჯით დაიდრუსეთის ჯარი.

მოდრაობაში იგრძნობა ძალა, ისმის მხნე სიმღერა.

ლაზარევის ხმა. საქართველოს მეფეს - გიორგი მეცამეტეს მხედრული სალაში! (ჯარი შეძახილებით ესალმება მეფე გიორგის). მოშანების ზალბი! (ზალბის ხმა). კიდევ ზალბი!

**შემოდის მეფე გიორგი დედოფალ მარიამთან ერთად.**

მარიამი. მეთაურის რა უამური ხმა აქეს. არ მომნონს ეგ კაცი - ვინ არის?

გიორგი. რუსთა ღირსეული ღენერალია, გვარად ლაზარევი.

მარიამი. ეგ არის? ასე მომწვდა რუსი არ არისო...

გიორგი. (ანვეყვინებს). სსს... რაც იცი, განა სუყველას თქმა უნდა, დედოფალი! (ამ დროს შენიშნავს იოანე ორბელიანს). აი, უამაურად იოანე დგას. ასე რად დანეგუმლხარ, სარდალი!

იოანე. სხვა არა დამარჩენია რა, მეფეო, გამოვხატო კმაყოფილება, ძლიერნი არიან ერთობ.

გიორგი. ენენი ადვილად შეგვიშინებენ და მოერვიან ჩემს მტერს. ამათ ვერ დაიდგება ვერც ლეკი, ვერც სპარსი და ვერც - თურქი.

იოანე (თავშეკავებით). მართალსა ბრძანებ, მეფეო! გიორგი. შენ კი ქილოზედ გატყობ, მოხარული არ უნდა იყო!

იოანე. მიმიხვდი, მეფეო! (ღუმილი. გიორგი უხმოდ შესცქერის, თუ რას იტყვის იოანე.) რისთვის არ გიბარია? (პაუზა.) მეფე სარდლის სიტყვას ელოდება.

იოანე. სხვისი მარჯვენის შემერყენი გავხდით, იმაზე ვფიქრობთ, ვინ რითი მოგვეშველდა, ვინ რას გაგვიცოტებს. ადრე ჩვენი მარჯვენის იმედზე ვიყავით, სხვისი არც არაფერი გვინდობდა, ვახსაც ჩვენივ მარჯვენით ვწურავდით და ხმალსაც თავადვე ვიქნევდით...

გიორგი. შენივ მარჯვენით გასჭერ, ორბელიანი, ვინ დაგიშალა? მიდი, ამტვრიე ცხვირ-პირი ბაბა ხანს, ნინ გააუბრედი ყიზილბაშთ, ლეკთა და ახალციხის ფაშასაც ცხვირ-სახე ულენე, რომ ქართლ-კახეთისაკენ არც გამოიხედონ.

იოანე. სარდალი მუდამ შენი მონა-მორჩილია, მეფეც ბატონო, ოღონდ...

გიორგი (ანვეყვინებს). აგარიანთ ცხვირ-სახეს ამტვრიე, ვინ დაგიშალა?..

იოანე. გაუგონრობამ, თავადთა ურჩობამ. თავისი ეზო-კარის იქით აღარაფერი ახსოვთ.

გიორგი. ცხვირ-სახედასალენი აქა გყოლია, ჯერ ამათ მიხედე, მერე - იმათა.

ც. ს. ა. ბ.



**იოანე.** თუ ჩემს მეფეს ეამება, სარდალი ამ წუთით-დანვე დაეთხოვება.

**გიორგი.** აარა, თქვენ ის გიჯობთ, შამფურებს ატრიალებდეთ, საქვეყნო საქმეს კი სხვა აკეთებდეს. **იოანე.** მეფეო!..

**გიორგი.** და, ვინც საქმეს ადგას, იმას ჰკილავენთო **იოანე.** თავი არც მე დამიზოვნია.

**გიორგი.** იქნებ, გგონია, ეგვინი გვახვევენ კალთას?! ჩენა, - ჩვენ ვემუღებებით, ოღონდ მოვიდნენ და ხალხმა წულისიფელი დაიამოს.

**ლიონიძე (უახლოვდება).** მეფეო, შენვენ რუსთა მეფის კაცი მოეშურება, მისი მინისტრი საქართველოშიდა.

**გიორგი.** კოვალენსკი?

**კოვალენსკი (გიორგი მეფეს თავს მდაბლად უკრავს).** მისმა უდადებულესობამ საქმეთა კარგად წარსამართავად ისურვა თქვენი უმაღლესობის კარზე შყავდეს თავისი მინისტრი. წარმოგიდგინთ იმპერატორის გრამოტას (**რწმუნების სიგელს გადასცემს**)

- შეძახილებო:
- ბედნიერჰყოს!
  - გაუმარჯოს რუსეთის მეფეს!
  - დიდება მეფე გიორგის!

**კოვალენსკი.** ჩემი ზრუნვის საგანი არის და იქნება, ხელი შევურნო იმას, რაც საკეთეს მოუტანს თქვენს პიროვნებას და ქვეყანას.

**გიორგი.** ჩვენი მზრიდან შეხვდებით თქვენი წინადადებების აღსრულებისათვის მზადყოფნას (**დაჯერდა**). ახლა კი გათხოვ დამბრუნებ ჩემგან ხელმარჯვნივ.

**ბერიკა (ირონიით).** რას შერგბი, მეფეო, აი, ამ წუთიდან ეგ ისე დაჯდება, შენთვისაც ველარ იპოვი ადგილს!

**კოვალენსკი.** გმადლობთ, ეს დიდი პატივია.

**გიორგი.** რასა იქმს დიდი რუსეთის ხელმწიფე იმპერატორი - მფარველი ჩვენი - პავლე?

**კოვალენსკი.** კარგად ბრძანდება, ჯანით სავსეა და გონებითა.

**გიორგი.** ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს. გზად ხომ არ გაგაჭირდათ?

**კოვალენსკი.** თქვენკენ მოვეშურებოდი და ეს მახსენებდა.

**მარიამი.** იმპერატორცა როგორა ბრძანდება?

**კოვალენსკი.** ჩინებულად, ღვთისმოსავობაში ათენებს და აღადგებს. (**წამოდგება**). ახლა კი ნება მიბოძეთ, საზეიმოდ გაუწყოთ, რომ ყოვლად მონყალ ხელმწიფემ რუსეთისა - პავლემ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე დადამტკიცათ საქართველოს მეფედ, როგორც კანონიერად ასული სამეგვიდრეო ტახტზე, ხოლო თქვენს უფროს ვაჟს, მეფისწულ დავითს აღიარებს თქვენს მემკვიდრედ.

**გიორგი.** აი, ჩემს ხალხს ფრიად გაახარებდა რუსეთის მეფის ასეთი ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოზე! (**ლიონიძეს**) რუსთა მინისტრს სწადია, ფრიად სასიხარულო ამბავი აუწყოს ქართველ ხალხს.

**ლიონიძე.** ყური უგდეთ, ხალხნო, მინისტრი რუსთა მეფისა გაუწყებთ ფრიად სასიხარულო ამბავას!

**კოვალენსკი (ხალხს მიმართავს).** მე, მინისტრი ხელმწიფე იმპერატორ პავლესი, ქართველ ხალხს ვაუწყებ, რომ ყოვლად მონყალ ხელმწიფემ რუსეთისა - პავლემ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზედ გიორგი, ძე ირაკლისა, დამტკიცა საქართველოს მეფედ, როგორც კანონიერად ასული სამეგვიდრეო ტახტზე (**გიორგის**), ხოლო თქვენს უფროს ვაჟს, მეფისწულს დავით გიორგის ძეს აღიარებს თქვენს მემკვიდრედ.

**ბერიკა (ხტუნავს, ცეკვავს).** ბუღი გვეჩნა, ქართველნო, რუსთა ხელმწიფემ ბაგრატიონი საქართველოს მეფედ დამტკიცა!

**შეძახილებო:**

- დიდება მეფეს!
  - გაუმარჯოს მეფე გიორგის!
  - დიდება რუსეთის იმპერატორსა!
  - დაგვიდექ, ბაბა ხანი!
  - ბრძენი ხარ, მეფე ბატონო, ბრძენი!
- გიორგი.** ადიდეთ დავითი, საქართველოს მომავალი მეფე!

**კოვალენსკი (მიმართავს ხალხს).** ამასთან, საქართველოს მეფეს ვაძლავ ჩემი ხელმწიფე იმპერატორის გრამოტას და სამეფო ინესტიტურას. ნება მიბოძეთ ჩავატარო მისი უდადებულესობის სამეფო ინესტიტურის გადმოცემის ცერემონიალი.

**გიორგი (ერთბო კნაყოფილი).** დასტური მითქვამს!

**კოვალენსკი.** ვთხოვთ, ინებოთ გრამოტა ხელმწიფე იმპერატორისა, რომლის ძალითაც თქვენ დამტკიცებული ხართ საქართველოს მეფედ, თქვენი ძე - დავითი კი თქვენს მემკვიდრედ. (**სიგელს გადასცემს**) ახლა კი შემოიტანეთ ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო ინესტიტურა. პორუჩიკო! (**შემოდის პორუჩიკი**) გადახადეთ საფარი სამეფო ტახტსა, რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის მიერ მორთმეულსა. მეფეც, გეპოძათ სამეფო ტახტი, შეინდისფეროს ხავერდით გადაკრული, პრტყელი ოქრომკედლის არშიებით და ოქრომკედისვე ფორებით მორთული, ამასთანავე - სამი ბალიში. შუა ბალიშზე დაიდება გერბი საქართველოსი, აქეთ-იქით ბალიშებზე - რუსეთის გერბი. (**ტახტს მეფე გიორგის ახლოს დადგამენ პორუჩიკს**) საქართველოს მეფეს გადავსცეთ ძვირფასი ქვებით შემკული სამეფო გვირგვინი (**შემოაქვთ სამეფო გვირგვინი, კოვალენსკი უახლოვდება მეფე გიორგის და დადგამს გვირგვინს**) სკიპტრა, ძვირფასი თვლებით მოჭყდილი (**პორუჩიკი კოვალენსკის გადასცემს სკიპტრას, კოვალენსკი უახლოვდება გიორგის და გადასცემს სკიპტრას**). ოქროთი და ძვირფასი თვლებით შემოსილი ხმალი! (**მეფეს მობარბოვენ ხმალს**) სამეფო პორფირი ყარყუმის ბენჯისა, შეინდისფერი ხავერდის საპირეთი, მასზედ ამოკატარა რუსეთის, ასევე საქართველოს გერბით. მობართვით მეფეს თეთრი დროშა ორთავიანი არწივითა, ღვწიტი წმინდა ანდრია პირველწოდებულისა აღმასებით შემკული! (**შემოაქვთ ლენტი, მეფე ლენტს გადაიკიდებს**).



**გიორგი** ღმერთმა დღეგრძელჰყოს დიდი რუსეთის იმპერატორი - პავლე!

**შეძახილები:**

- ამინ!
- გაუმარჯოს!
- დიდება რუსეთს!

**კოვალენსკი (გიორგის).** დღეიდან თქვენ ხართ საქართველოს მეფე და გთხოვთ დაბრძანდეთ სამეფო ტახტზე (მეფე გიორგი სამეფო ტახტზე ჯდება). ნურასოდეს მოგკლებოდეთ ხელმწიფე იმპერატორის წყალობა!

**გიორგი** ახლა ძე ჩემი...

**კოვალენსკი** ხოლო ძეს თქვენსას - დავითს, გიორგის ძეს, ხელმწიფე იმპერატორი აღიარებს ტახტის მემკვიდრედ.

**ბერიკა** გაიხარეთ, ქართველებო, ბაგრატიონთ საქართველოში მეფობაც დაუმტკიცეს და ტახტის მემკვიდრეობაცა!

**იოანე** გიხაროდნ, რუსთ იმპერატორის წყალობაზეა ბაგრატიონთა მეფობა!

**კოვალენსკი** დედოფალ მარიამს გადაეცემა იმპერატორის ვიღღო - ეკატერინას პირველი ხარისხის ორდენი და რუსეთის დედოფლის ძვირფასი საწუქარი - გორნოსტაითა გარემოდებული კაბა. **დედოფალ მარიამს გადასცემს ძღვენს).**

**მარიამი** ღვთის წყალობა ნუ მოკლებოდეს იმპერატრიცას!

**კოვალენსკი** მეფის მემკვიდრეს - დავითს გადაეცეს პირველი ხარისხის ანნას ორდენი.

**დავითი საზეიმო სვლით უახლოვდება პორუჩიკს. ნარიყალადან ისმის ზარბაზნთა სროლის ხმა. წამოიწყებენ მრავალგამიერს, შეძახილები:**

- დიდება მეფეს!
- .. მეფე გიორგის დიდება!
- გამარჯვება მეფესა ჩვენსა, გიორგისა და დედოფალსა საქართველოსა.
- არქიდიაკონი** დიდება იმპერატორ პავლესა, იმპერატრიცასა, მეფე გიორგისა და დედოფალსა!
- შეძახილები:**
- დიდება!
- დიდება!
- დიდება!

**კოვალენსკი** ახლა კი, მეფეო, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალი ტრაქტატი.

**ჭაჭვაძე (კითხულობს).** 1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა: პარაგრაფი პირველი: მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოსა და შემდგენი მისნი მემკვიდრენი“.

**ლიონიძე** ეუბ, წინაპარნი და მყობადნი ქართველთა!

**ბერიკა (ცვეთი წრეს უწლის).** ახალი მეფე, მთავარი მეფე ქართველთა! საქართველოს თეთრი მეფეც ეყობება!

**კოვალენსკი (განაგრძობს კითხვას).** პარაგრაფი მეორე: ძე მეფისა გიორგისა დავით - ტიტულსა „განმე საქართველოსა“ და გარდავლს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ პირმშომდის.

**ჭაჭვაძე.** პარაგრაფი მესამე: საქართველოსი ერი 12 წელინადი არ გაიღებს არასა ხარჯსა, ქვეყნსა გადასახადებისა გადახდას დაიწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დანერგულს აღადგენს, გონს მოვა.

**კოვალენსკი** პარაგრაფი მეოთხე. მადანი ოქროსა და ვერცხლისა ახტალას და მისხანასა (მიწხანასა) შევა რუსთა განმგებლობაში.

**ბერიკა** თავად აბელო, შეიღოსა, თავად აბელო ახტალის ოქრო-ვერცხლი, თავად რომ არ აიღე, ახლა რუსი მოგცემს, ხომ ხედავთ, რა კარგია!

**კოვალენსკი** პარაგრაფი მეხუთე: რუსეთის 6.000 ქვეითი ჯარისკაცი დადგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ქვეით ჯარში.

**ჭაჭვაძე.** პარაგრაფი მერვე: ფულსა მოჭრილსა ტფილისში ექმნება ერთ მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორე მხარეს - საქართველოსი.

**გიორგი (ლიონიძეს).** ან მოისვენა გულმა - ჩემს მეფობას იცავს მართლმადიდებელი იმპერატორი.

**ცეკვა-სიმღერა გრძელდება.**

**კოვალენსკი** თქვენო უმაღლესობავ, მაქვს პატივი შეგახსენოთ, რომ ჯერაც არ დაიდგიათ ხელმწიფე იმპერატორის ტახტისადმი ერთგულების ფიცი. თქვენი ფიცი ძლიერ ეამებოდა იმპერატორს, ამიტომაც შეგახსენებთ.

**გიორგი** ჩემი გული იმდენად სასება მართლმადიდებელი მეფისადმი მადლიერებით, მზად ვარ, ახლავე დავდო ფიცი.

**კოვალენსკი (ქალაღზე დაწერილ ფიცის ტექსტს წინ დაულოცს).** აი, თარგმნილი ქართულს ენაზე!

**გიორგი (კითხულობს).** მე, გიორგი მეფე ქართლისა და კახეთისა, ვდებ პირობას და ვფიცავ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე, წმიდისა სახარებისა მისისა მს შინა, რომ მაქვს სურვილი და ვალდებულება მივიწინე თავსა, ერთგულად და პირუთვნლად ვემსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესსა ნებასა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის ხელმწიფის პავლე პეტრეს ძის და მეფისწულის, დიდი თავისადმი...

**შეჩერდება, ქალაღს გადასდებს.**

**კოვალენსკი (მუშუთუბული).** ცუდად ხართ?

**ბერიკა** ახლა კი ყურადღებით, ქართველნო, ყველამ უფდეთ ყური, დიმაღც და პატარამაც, ყველამ, ყველამ, ყველამ... ახლა იწყება... (თითქმის ყვირის) ახლა იწყება... იწყება... მეფის ოცნება პქონია!

**გიორგი** არა... აი, რა უნდა გითხრათ, ქართველნო: ჯერ კიდევ ყმანვილკაცობისას, როცა უფლისწული ვიყავ, და ნეტარსენებელი მამა დიდს ეკატერინესთან

უსტარტ გზავნიდა, ოცნებად მქონდა, საქართველო გამხდარიყო რუსეთის ქვეშევრდომი.

**ბერიკა (ცონგს დასცხებს).** უგდეთ-მეთქი ყური, მეფეს ოცნება ჰქონია!

**იოანე.** ქვეშევრდომი?!

**ლიონიძე.** რას ამბობ, მეფეო!

**გიორგი.** მსურს, ჩემი სამეფო და თავიც ჩემი რუსეთის იმპერატორს გადავსცე და ქვეშევრდომად ვიყო, მისი მორჩილი და დამოკიდებული მასზედ... (პაუზა. ხალხს გადახედვას). აღარ ვეძებ რუსეთის მფარველობასა, ვითხოვ საქართველო გახდეს ქვეშევრდომი, ნაწილი რუსეთისა.

**ბერიკა (ნამღერებით).** სამეფო და თავიც ჩემი ქვეშევრდომად, მორჩილად!

**დღემილი.**

**ლიონიძე.** გვფარვიდა, ჯვარს გვიგზავნიდა, მორჩილება რისთვის, მეფეო?!

**მუსრანაბატიონი.** როდის ყოფილა, რომ მეფენი ძალაუფლებას სხვას ჩუქნიდნენ?!

**გიორგი (ერთხანს უხშირ შესცქერის მუსრანაბატიონს).** მხოლოდ მაშინ, სარდალო, როცა მეფისთვის მთავარი ტახტი კი არა, ხალხის მშვიდობა და სიკეთეა. დიდმა ერეკლემ ბრძანა საქართველოს გზა ჩრდილოეთისაკენ უდევსო. ჩემი დესპანნი მალე გაემართებიან იმპერატორ პაულესაკენ: მეფეს სურს ქართლ-კახეთი გახდეს ქვეშევრდომი და მორჩილი რუსეთისა.

**იოანე.** ვაი საქართველოს, რა გესმით, ივერნო!  
**ბერიკა** გაიხიერე, ქართლ-კახეთო, მეფის მოთავეობით რუსეთის მორჩილი ხდები...

**ხალხი აჩოქოვლებდა.**

- გაიფიქრონოთ მეფის ნათქვამი!
- გაგვაგონეთ, ხალხნო!
- რა ხმაურიაა!
- თქვენა გემრიელად ზიხართ ციხე-კოშკებში!
- ოხვრა კი არა, სიხარული გემართებთ!

**გიორგი.** ჩემი დესპანნი ხელმწიფე იმპერატორს მოახსენებენ, რომ მეფეს, ეკლესიას, დიდებულებს და ხალხს დიდად სწადით, გახდენ რუსეთის ქვეშევრდომნი. ჩემს შემდგომად საქართველოს მეფობას განაგრძობს ძე ჩემი - დავით. საქართველოს ვმართავთ იმ კანონებით, რომელსაც მოგვცემს ხელმწიფე იმპერატორი. მეფე საქართველოსი კი არა-რა კანონის შემოღებას არღა ინებებს. (შებრძალებდა)

**კოვალენსკი.** მეფეე!

**ლიონიძე (ხელს შეაშველებს).** გიორგი!..

**გიორგი.** სოლომონ, მომეშველე, რაღაც ვერა...

**კოვალენსკი.** ბრძანეთ, მეფეო, ხალხი გისმენთ!

**იოანე.** რეზდაცემული ხალხი კი არ უსმენს, დღუს. **კოვალენსკი.** გისმენთ, მეფეო!

**გიორგი.** მეფენი კი კვლავაც ქართველნი იქნებიან... ქართველნი... ქართველთა ძენი...

**ლიონიძე.** მეფე ცუდად არის, მეფეს ენა ერთმანეთს კოვალენსკი. ხალხი უსმენს, ხალხი მეფის სიტყვას ელოდება!

**ლიონიძე.** უფალო მინისტრო, ხალხმა ისეთი რამ მოისმინა, უგონოდა დგას.

**შეძახილები:**

- ბრძანე, მეფეო!
- გისმენთ!
- რუსნი მოუტანენ შვებას ქართველთა!
- დგება ჭამი საქართველოს მოსვენებისა!
- ეგ როდის იქნება: რუსის მოსვლამდე, თუ ბაბა ხანმა გვიცხიარა!
- რუსი აქ არა გვყავს?

**კოვალენსკი.** განაგრძეთ, მეფეო, ხალხი სიხარულით ელოდება თქვენს სიტყვებს.

**გიორგი (უჭირს, უშწოდ).** დიას, ქართველნო, მე ასე გადავწყვიტე, ჩემი დესპანნი რუსეთის გზაზედ... მალე... ხელმწიფის... ნინაშე წარსდგებიან... საქართველო რუსეთის მიუშვროთ.

**ლიონიძე.** მეფე ცუდად არის!

**იოანე.** არც ახლა დაიჯერებთ, რომ ქართული მონის გაჩუქებას ღმერთი არ პატიობს?

**ლიონიძე.** მემკვიდრეო მეფისა გიორგისა, დავით, უფალი მეფე შეუძლოდ ბრძანდება, ამხნევე ხალხი, საქართველოს მომავალი შენს ხელშია და სთქვი სიტყვა!

**დავითი (მცირე პაუზის შემდეგ).** მეფეს უკეთ მოეხსენება საქართველოს მომავალი. ყური უგდეთ, ხელმწიფის ნება ურყევია!

**ლიონიძე.** მეფეს სენი მორეგია!

**გიორგი (ძალას იკრებს).** დანყნარდით, სენი ვერ მომერევა. კარგადა ვარ.

**დაბნელება**

სინათლის ნრეში მოღმარე ბერიკა მოექცევა.

**ბერიკა (ფანდურზე მღერის).**

*ინილო, ბინილო შროშანო  
გერიტინო,  
ხო, მალხო, ჩიტმა ვნახო,  
შერი ფესვი, ფესმანდუკი  
აბდა უბდა გადასკუბდა,  
აჯებ მაჯებ, მეფეე, ჩაჯებ!*

**დაბნელება**

სინათლის ნრეში არქიდაკონი და ვახტანგი - ძე ერეკლე მეფისა და ძმა გიორგისა, მოექცევიან.

**არქიდაკონი.** განა შენ არ შეჰკრიბე კარის 30 აზნაური და ანანურთან არ შეეგებე რუსებსა!

**ვახტანგი.** მერედა, ვილას ახსოვს ეგ ამბავი, არქიდაკონი! როგორც კი ჯვარი თბილისს დაბანაკდა, ჩემკენ არავის მოუხედნია.



**არქიდიაკონი** არ ვარგა ვერე, ღვთის მადლმა, არ ვარგა **ვახტანგი** იქვე ვიცოდით, მამა ბატონი სცდებოდა საქართველოს გიორგის რომ უტოვებდა - გიორგიმ შვილზე ზრუნვის მეტი არაფერი იცის.

**არქიდაკონი** მოდი, მეფე ვენათ, ვახტანგ: მივიდეთ და შევახსენოთ მცვე ერეკლეს ანდერძი. **ვახტანგი დემსა** ან, იქნებ, ძმები დაუსხდეთ. იქნებ, ისიც აუსხნათ... საქართველოს ვერე გაჩუქება რუსებზედ ცოდევა! როგორ იქნება, მავას არც ღმერთი აპატიებს, არც კაცი!

**ვახტანგი** ალექსანდრე, ალექსანდრე მოსთხოვს პასუხს ყველაფრის გამო! ალექსანდრე ზაქის ჭამასაც დაავინყებს, რუსებსაცა და შვილის მეფობისათვის ზრუნვასაც! წინ შორი გზას გაქვს, არქიდიაკონო, ალექსანდრეს ყველაფერი მოახსენე!

**არქიდიაკონი** აბა, მშვიდობით დამხვდით! **ცაღის**. **ბერკა** **სავანცენაზე გამოდის** **ღიმილი** **ცეკვათამაშის** წერილი, უსტარი, სამთარობო ცნობა! ალა მაჰ-მად ხანის ძმისწულმა - ბაბა ხანმა უშალ გამოუგზავნა წერილი მეფე გიორგის **კითხულობს** „მეფესა სრულიად ქართველთა - გიორგის: მე, ირანის ყაენი, მეგობრულად ვთხოვ, არ დაარღვიოს საქართველოს ძველი კავშირი ირანის ყაენთან, არ დაივინყოს წყალობა, რომლითაც სავსე იყო საქართველო - რუსთა არ მინდოთ თქვენი სვე და ბედი. ქართველთა აღფრთქვამ ჩემს მფარველობას, მათი სარწმუნოების შენახვას, ერევნის, განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე უფლების შენარჩუნებას, ისევე ვითარ იყო მეფე ირაკლის დროს და უკეთუ მეფე ხასჭირებს, 6000 ჯარისკაცის გამოგზავნას ჩემი ხარჯით ლეკთაგან თავის დასაცავად.“ **პაუზის შემდეგ** ახლა ისმინეთ მეფე გიორგის პასუხი ბაბა ხანის წერილზედა!

**გიორგი** **სავანცენაზე მოდის**. „ირანი მდევნულად და მტრად შეგვექმნა, დაივინყა ავგანისტანში ქართველ მეფეთა, ჯარის დაღერბილი სისხლს. ირანმან გააოხრა სამეფო ჩვენი. ლეკნი ჩვენს ასაკლებად აღძრა. რუსებთან ერთი სარწმუნოება მაიმედებს ქვეყნის დამშვიდებას. მათთან კავშირის დარღვევა არ შემძლებია, ვერ შევირცხვენ პირსა და ვერც გავტებ მიცემულ სიტყვას. ყველა რუსეთის ხელმწიფის მფარველობას თხოულობს.“

**ბერკა** და დატრიალდა, დაბზირალოდა! ბაბა ხანმა მეფე გიორგის პასუხი რომ მიიღო, ბრძანება გასცა **კითხულობს**. „ყარაბაღის, განჯის, შაქი-შირვანის ხანებს ვუბრძანებ: საქართველოს დასამორჩილებლად განაზრადეთ ჯარი და საგზალი. თავირზიდან ჩამოვიდას ალექსანდრე ძე მეფისა ირაკლისა და ნარაუძლეს ჯარსა, დაამზოს გიორგის მეფობა და გამეფდეს თავად“. ალექსანდრე ბატონიშვილი ირანში ეძებს საქართველოს ტახტს, მის ძმას - მეფე გიორგის რუსეთი მაჩინა საქართველოს მხსენლად. შენა, შენ რასა იქმ, საქართველო!

დაბნელება

ც. ს. ჯ.

სავარძელში მოკალათებული გრაფი **მუსინ-პუშკინი** მოთმენლად ელოდება გენერალ **ვანარევის** თავმოკაუჭებულ ოქროსფერ სახელურიან ხელჯოხს ატრიალებს, მერე საათს დახვდავს და ნამოდგება, კოსკურა ცილინდრს დაიხურავს. **გასახველისაკენ მიმართება**.

**ლანარევი** **მუხომის მშრალად** დაბრძანდით, გრაფ! **მუსინ-პუშკინი** ჩემი აქ ყოფნის დრო ამოიწურა.

**ლანარევი** დაბრძანდით! თქვენადი! საუბარი მსურს. **მუსინ-პუშკინი** იქნებ, ჯერ ის გაგერკვიათ, გენერალო, მაქვს თუ არა მაგ საუბრის სურვილი, გნებობთ, დრო, ოფიცრები კი მერე გამოგვგზავნათ.

**ლანარევი** არც ჩემთვის უკითხავთ, დამავალეს. განკარგულებას ვასრულებ.

**მუსინ-პუშკინი** ვერ დავიჯერებ, რომ დავგადავს, გრაფე მუსინ-პუშკინი ოფიცრებს მოაყვანიეთ, ოთახში არ დახვდეთ, ნახვარი საბით ალოდინეთ და ბოდიშიც არ მოუხადოთ!

**ლანარევი** ნუ ცხარობთ, გრაფ, ვთხოვთ დაბრძანდეთ, უნდა გესაუბროთ იმ წერილთან დაკავშირებით, მის უღადებულესობას - იმპერატორ პავლე პარფელს რომ გაუგზავნეთ. წერილი ხომ მისწერეთ, ხომ არ უარყოფთ?

**მუსინ-პუშკინი** ვადასტურებ. მე, გრაფ მუსინ-პუშკინს, მოვალეობად მიმაჩნია, ხელმწიფე იმპერატორს მოვასხენო ის...

**ლანარევი** **სწვეტივნებს** თქვენ, ესოდენ ცნობილმა პიროვნებამ, ნაველულმა, არ იცით, რომ იმპერატორს არ სურს საქართველოს შეერთება, არ აინტერესებს ეს ქვეყანა?

**მუსინ-პუშკინი** **ირონიით**, რასაკვირველია, საქართველოს ხომ უკვე აღარავრად ავადებენ. როცა მოურჩინებთ, ლეკები ააოხრებენ, ცხვარძობას, ტყვეებს წინ გაიოკავენ, ქალწულებს გააბახებენ, მერე სოფელს უბარებენ, კარგად ამშობიარეთ, თორემ მომავალ ზაფხულს მოვალთ და ამოგტყლვით.

**ლანარევი** **ბრაზითაც შესცქერის მუსინ-პუშკინს**. ჩვენ აქ მხოლოდ იმის გამო ვიმყოფებით, რომ ქრისტიანული ვალი მოვიხადოთ დაჩაგრული მეზობელი ერთმორწმუნე ხალხის წინაშე.

**მუსინ-პუშკინი** ვხედავ, რასაკვირველია, ვხედავ მაგ შეცდომას, გენერალო!

**ლანარევი** იქნებ, დამდოთ პატივი და ამხსნათ: რატომ, რისთვის უნდა შეიეროს რუსეთმა საქართველო? დიდი რუსეთის იმპერატორმა რატომ უნდა დააკაყოფილოს დაჩაჩანაკებული ქვეყნის მეფუკას თხოვნა.

**მუსინ-პუშკინი** გენერალო, დაგიდასტურეთ, რომ ამის თაობაზე მე ხელმწიფე იმპერატორს მივწერე. თქვენ აქ მომიყვანეთ და არ დამედეთ პატივი, ოთახში დამხვედრადით. ამით გამოხატეთ უპატივცემლობა გრაფი მუსინ-პუშკინისადმი. ნახევარი საათი გელოდეთ. თავს არ ვთვლი ვალდებულად, გაგიმეოროთ ის, რაც მივწერე ხელმწიფეს. დროც აღარ დამრჩა. კარ-

გად ბრძანდებოდეთ! (თავს დაუკრავს.) მაქვს პატივი (გადის).

**ლაზარევი (გაოცებული შეშვარებს).** იმპერატორს იმაზე თუ მისწერეთ, როგორ მოქცევიან ქართველები, როცა მტრებს ჩამოვაცილებთ, ცხოვრებას გაილაღებენ, ძალას მოიკრეფენ, მოღონებენდებიან.

**მუსინ-პუშკინი (მობრუნდება).** მითხარით, გენერალო, თუ ოთახში ნახევარი საათი ალოდინებთ, როგორ უნდა მოგექცნენ? (**ლაზარევი ღუმს.**) თქვენ არა გაქვთ პასუხი. მე მაქვს. კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).

**დაბნელება**

**ბერიკა (ავანცენაზე გამოდის).** აკი გითხარით, დატრილდა-მეთქი, უფრო მეტიც - დაბზრიალდა: პავლე პირველმა მეფე გიორგისა და მუსინ-პუშკინის წერილები სახელმწიფო საბჭოს გადაუღზავნა. სახელმწიფო საბჭომ იმპერატორს სამ კვირაში მისცა დასკვნა (**წამლურებით**). ეს არის ფრიად საჭირო კავშირი" (**იმეორებს**). ეს არის ფრიად საჭირო კავშირი. მეფე ქართლ-კახეთისა - გიორგი მეათასმეტწრუსეთში თავის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს წერს: (**კითხულობს**). ყოვლად მონყალე ხელმწიფისაგან ესევე წერილით ითხოვეთ აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, ითხოვეთ საშესაბამო ვაამაგირი ჩვენთვის.

მეფე სრულიად საქართველოსი - გიორგი". ახლა კი გრაფი როსტოპჩინი მეფე გიორგის ელჩებს - ელოდება.

**ნათდება სცენა.**

**როსტოპჩინი (დავთარში კითხულობს).** მამ ასე, 1800 წლის 14 ნოემბერი. შეხვედრა საქართველოს ელჩებთან. კარგია, კარგია! გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, ელიზბარ ფალავანდიშვილი. აჰ, ეს ფალავანდიშვილი! რამოდენა ცხვირი აქვს, თანაც როგორი კუხიანი! შეიძლება, ადამიანს ამოდენა ცხვირი ჰქონდეს? როგორ შესცქერის ეკატერინა მაქსიმოვნა, იმის დანახვაზედ სიამით აურჯილებს ამას კიდევ: ავალოვ! (**ულვაშზე ხელს გადაისვამს**) ასე რატომ მოსწონთ ავალოვის ულვაში, ასეთი რა ნახეს! (**ფიქრობს**). რა საჭიროა სამ ელჩთან საუბარი! აი, ჭავჭავაძე ლირსეული ადამიანია. (**გასძახის**). მხოლოდ ერთი ელჩი შემოვიდეს - ჭავჭავაძე!

**ჭავჭავაძე (შემოდის).** მოგესალმებით, გრაფ!

**როსტოპჩინი (ახველებს).** დიახ, მოგესალმებით! დავალებული მაქვს, გაუწყოთ: მისმა იმპერატორობითმა უდებებულესობა, ხელმწიფემ სრულიად რუსეთისა - პავლემ მიიღო მონყალე და თანხმობა განაცხადა, საშუამო კვეშევრდომად მიიღოს საქართველოს მეფე და მისი ხალხი. ხელმწიფე იმპერატორმა ასევე მიიღო მონყალე და მზად არის, დააკმაყოფილოს მეფე გიორგის თხოვნა - ხელმწიფე

იმპერატორი საქართველოს მეფეს და ხალხს აცხადებდა, რომ გიორგის შეუნარჩუნდება მეფობა - სიცოცხლის ბოლომდე იქნება საქართველოს მეფე.

**ჭავჭავაძე.** მეფე გიორგი, უზენაესი სრულიად ქართლ-კახეთისა, სვამს საქართველოს სამეფოს შენარჩუნების, ტახტის მემკვიდრის საკითხს.

**როსტოპჩინი (პაუზის შემდეგ).** ხელმწიფემ სრულიად რუსეთისა - პავლემ მიიღო მონყალე და თანხმობა განაცხადა, მეფე გიორგის სიცოცხლის დამთავრების შემდეგ გენერალ-გუბერნატორის ნოდებით საქართველოს მეფე დაამტკიცოს მისი უფროსი ძე დავითი, ხოლო საქართველო გახდება რუსეთის ერთ-ერთი გუბერნია და დაერქმევა საქართველოს სამეფო.

**ჭავჭავაძე.** დიახ, ჩვენთვის მთავარია საქართველოს სამეფოს შენარჩუნება, ბაგრატიონები ათი საუწყუნდა საქართველოს უძღვეიან.

**როსტოპჩინი.** იმპერატორი საქართველოს მეფეს რუსეთიდან დაენიშნავს თავის დიდებულს. საქართველოს მეფე ყოველ დოკუმენტს ხელს მოაწერს მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსი დიდებული გაიზიარებს მას.

**ჭავჭავაძე.** ჩემს მეფეს ყველაფერს მოვასხენებ.

**როსტოპჩინი.** რუსი დიდებული დაენიშნება ყოველ ქართველ ჩინოსანს, იქნება იგი მოსამართლე თუ სამხედრო პირი. იმპერატორი მეფეს უნიშნავს ძალიან დიდ ხელფასს - 20 ათასი თუმანი მისთვის და სამეფო ოჯახის წევრებისათვის.

**ბერიკა.** გიხაროდეს, ივერთა თეფვე, ხელფასი დაგინიშნეს!

**როსტოპჩინი.** მეფე გიორგი ხელფასს მიიღებს საქართველოს ნიაღისეულისა და სხვა შემოსავლიდან. თუ სამეფო ოჯახის რომელიმე წევრი რუსეთში ცხოვრებას ისურვებს, მისი ნიშნის შესაფერ მდგომარეობას შეუქმნიან.

**ჭავჭავაძე.** მოხარული ვარ, გრაფ! ჩემს ხელმწიფეს ფრიად აინტერესებს სახანოთა საკითხი. ერევნის, განჯის და ყარაბაღის სახანო მეფე ერეკლეს დროსაც საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა. ჩემი ხელმწიფე იმედოვნებს, რომ ამ სახანოთა გამეგებლობა შეუნარჩუნდება. საქართველო თავისივე ვასალებით შემოღის რუსეთის გამეგებლობაში.

**როსტოპჩინი.** თქვენ განადიათ, ყველა საკითხი რუსეთის მეოხებით გადაწყვეტით.

**ჭავჭავაძე.** მონყალეო ხელმწიფეო, ეს სახანოები, მრავალი წელია, საქართველოს უხდის ხარკს.

**როსტოპჩინი.** მოვასხენებ, ვისაც ჯერ არს. (**პაუზა**) ამასთან ერთად, დიამხსოვრეთ: საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება, ვიდრე არ გაკეთდება შემდეგი: აქ სამი ელჩი ხართ...

**ჭავჭავაძე.** დიახ.

**როსტოპჩინი.** ორი გაემგზავრება ტფილისს, აუწყეთ ხალხს იმპერატორის ნება და მოაშაზადეთ კიდევ ერთი თხოვნა თქვენი ხალხისა...

**ჭავჭავაძე.** ჩემი მეფის ასეთი თხოვნა უკვე მიგრატორი იმპერატორს.

**როსტოპჩინი.** ახალი თხოვნა აუცილებელია. იმ-



პერატორს საქართველოს რუსეთის გუბერნიად მიღება შეავადროს თავადზნაურობამ, თხოვნა გამოუგზავნონ სასულიერო პირებმა, აი, ამის შემდეგ იმპერატორი კეთილ იმეობდა...

ჭაჭაჭაძე. გასაგებია, ყველაფერი შესრულდება. რუსტომარინი. ნუ დააყოვნებთ, თქვენს მეფეს ეგ საქმე ეჩქარება.

ჭაჭაჭაძე. მაშ, დაგემშვიდობებით, კარგად ბრძანდები!

დაბნელება სამეფო ოჯახი: მეფე გიორგი, დედოფალი მარიამი და დავითი. ავადმყოფი გიორგი სანოლში წამომჯდარა.

გიორგი. ლაზარევი რატომ ივჯიანებს? დავითი. სადაცაა გამოჩნდება, მამაც ბატონო! მარიამი (გალიზიანებული). ის უამური კაცი უნდა მოვიდეს?

დავითი. რჩევას მოგცემო, ბრძანებდი, მამაც ბატონო.

გიორგი. ვამბობდი, მაგრამ... ღირს რამედ ჩი ჩემი რჩევა? მე ერთი აოხრებული, გატიალებული ქვეყნის მეფე ვარ. დიდი ჭკუა გინდა ამისთანა დროებაში, ძალიან დიდი! პატარაა საქართველო... დიდ ქვეყანაში მეფე შორს არის და რდიც მეთი აქეთ... ჩვენთან კი...

დავითი. მამაც ბატონო, ასე რატომ ჭირს საქართველოს პატრიონობა? (გიორგი დუმს). დუმილი გაუგრძელდება.) იქნებ, ბატარაგონელი ვართ ბრადეულნი? მბრძანებლობას თავს ვარიდებთ, ვცდილობთ, ქვეყანას პატრონად ვექცეთ, ისინი კი... ყმებს გვიმაღავენ, ალა მაშნად ხანი ქალაქსა სცემდა და ბევრი თავადი ტახტზე კოტრილობდა.

გიორგი. ჩვენწაირ მომცრო ქვეყანაში მეფეს ორი ნუ აქვს, შვილო: ერთი - მათრახისა, მეორეც - დათაფლული ენისა. დათაფლული ენა ეამებათ, მაგრამა ხევალ მაგას აღარ დაგჯერდებიან - მათრახს მოგთხოვენ. თუ არა გაქვს ეს დალოცვილი მათარა? ენადგაკირფებიან და მერე როგორა! შენს დიდ სენხისა - მეოთხე დავითსა - მათრახი ეჭირა ხელთ, ხან მარჯვნივ გადაუტყლაშუნებდა უჩრთ, თავნებათ, ხანაც - მარცხნივ. ერიც მორჩილება და ბერიც... შენ რომელს მოიმარჯვებ?

დავითი. მათრახს მათარას შევუნაცვლებ და მათარას - მათრახს.

გიორგი. მათრახი მეტად ჭრის. თუ ჩვენს თავადს, გინდა აზნაურიშვილს, შიში არა აქვს...

დავითი. მათარას და მათრახი ერთად, ერთიმეორის მიუყოლებით...

გიორგი. თუ რუსნი გვერდით დაგიდგებიან, სიტკბოება აჯობებდა. რუსნი კანონით მოდიან, ჩვენს კაცსა კიდევს საქვეყნო კანონის მორჩილებას ის უფობს, თავად ქმნიდეს თავის კანონსა. დავითი. იქნებ, მათრახის შიშმა კანონი შეაყვაროთ?..

გიორგი. შიში... შიში... მერე, როგორც ჯამარასხს მოაკლებ, ისე აიშვებს, ვერაფერი შეაკავებს...

დავითი. მაშ... მაშ... შემწეობა რით გავუნო?

გიორგი. მათრახს ის სჯობს, ცოდნა მისცე... (ცოდნა გააგვიბნებს კანონის მაღლსა.)

ლაზარევი (მემოდის). თანახმად თქვენი მოწვევისა, გამოვხადებ.

მარიამი (გალიზიანებული). მე დაგტოვებთ (დემონსტრატოულად გადის. ლაზარევი მზერას გააყოლებს).

გიორგი. მობრძანდი, გენერალო!

ლაზარევი. იმედო მაქვს, მალე გამოჯანმრთელდებით და კვლავ წარუძღვებით სამეფოს.

გიორგი. ეეჰ, გენერალო, მე მხოლოდ იმპერატორის ყურადღება მომცემს ძალასა და მხნეობას. სულმოუქმელად ველოდები, როდის მოიღებს მეფე ნებას, როდის გახდება საქართველო რუსეთის მარადიული ნაწილი.

ლაზარევი. ფიქრობენ, თქვენო აღმატებულებავ, დრო, დრო, დრო...

გიორგი. ფიქრი კარგია, საჭიროა, მაგრამ ამ ქვეყანას დროზე უნდა შევლათ...

ლაზარევი. სადაც ვერ არს, მოვასხენებ, თქვენო აღმატებულებავ...

გიორგი. აი, რატომ გიხმე, გენერალო... ვიდრე ქვეყნდრობისა მინიფესტი მოვა, რაიმე უნდა იღონოთ... მოგვეშველეთ, ყოველდღე მომახსენებენ, როგორ არიან ქალაქი. ახლობელი ახლობელს არ ინდობს, მეზობელი მეზობელს ესმის თავს, დღისით, მზისით ერთმანეთს ქონებას ართმევენ და, თუ არ დაანებებს, ხოცავენ... ადამიანებს იტაცებენ, რომ რაიმე წაგლიჯონ... მიეშველეთ ქალაქს... (გაჩუმდება.) ჯანი რომ მომდევდეს... ეს ჩემი ძმები კიდენა კრიჭაში მიდგანან.

ლაზარევი. ძალიან მცირე ჯარი გყავს, თქვენო უდიდებულესობავ... საზღვრებთან ჩაგაყენეთ - ბაბა ხანის ურდობს გზას ვუკეტათ, გორშიც ჩაგაყენეთ, ლეკები ხან სად გამოჩნდებიან, ხანაც სად. ამიტომ ჯარი გავშალოთ...

გიორგი. ქალაქშიც, ქალაქშიც იღონეთ რაიმე. მეორესაც ვეტყვი, გენერალო, თორემ ცუდადა ვარ, ვაითუ, დამჯანბნის სენმა და ველარ შევძლო. ვგონებ, ვხვდები, მიმანიშნეს კიდევ, იმპერატორი თუ რისთვის აყოვნებს საქართველოს ქვეშევრდომად აღიარებას.

ლაზარევი. მე არაფერი ვიცი, თქვენო უდიდებულესობავ...

გიორგი. ჩემი სულცხოვებული მამის - მეფე ერეკლეს ოსმალეთთან 1786 წელს დადებულ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე გადამიკრავენ ხოლმე სიტყვას. ამით ერეკლემ გეორგიევსკის ტრაქტატი ნაკუნებად აქციაო.

ლაზარევი. კოვალენსკი?

გიორგი (ლაპარაკი უჭირს). მოახსენეთ, სადაც ვერ არს: ეს დალოცვილი სამშობლო უფალმა ისეთ ადგილას გაგვიჩინა, ყოველ მეზობელს მასხუდ უჭირავს თვალთ. საქართველო უნდათ... რა ვქნათ, რა ღონ-



ეს მიემართო? ზოგჯერ მტერს თუ მეგობრად არ მოაჩვენე თავი, გასარესს (უჭირს...) დიდი ერეკლე ხალხისა და ქვეყნის გადარჩენისთვის... სხევიც, სხვა მეფენიც... ცერე ყოფილა... სხვაგვარად ვერ გადავირჩებოდით... არ, როცა რუსეთი ახლოს გვეყოლება, აქ დაიღებს ბინას... (გაჩუმდება).

**ლაზარევი.** გასაგებია, თქვენი უდიდებულესობავ... ნულარ შენუხებივით.

**გიორგი (უშნოვლ).** მიბრძანდით, გენერალო, ცუ-დადა ვარ. შენც წადი, დავით, გენერალი პატივით გააცილებ.

**ლაზარევი.** კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).  
**დავითი.** მოისვენეთ, მამავ ბატონო! (გადის).

**დაბნელება**  
**საქართველოს მეფის მემკვიდრედ შესახელე-ბულმა დავითმა გენერალი ლაზარევი გააცილა თუ არა, უკან მიბრუნებულს სასახლის პალში სარდალმა იოანე ორბელიანმა ხმა დაანია.**

**იოანე.** ბატონიშვილო და ბიავ ჩემო! მეფე როგორ ბრძანდება?

**დავითი.** ისევე, როგორც გუშინ, გუშინსინ და იმის წინა.

**იოანე.** გადარჩენის იმედი...

**დავითი.** ყველაფერი ღვთის ხელთაა, სარდალო ჩვენ კი, ოჯახი, ერთობ უიმედოა ვარ.

**იოანე.** თუ მეფის სულმა ტახტზე ჯდომბ ცაში ისურვა, არავინ იცის, რუსნი რა გზას ირჩევენ. გული მითქვამს: არ დაგვიდომენ, მეფედ შენა ხარ შესახელეული. ქვეყნის პატრონობას დღესვე უნდა მოჰკიდო ხელი. მიბრძანე და გავყრი რუსებსა.

**დავითი.** რუსებს გაჰყრი?

**იოანე.** ვიდრე ძლიერ არ მოუდგამთ ფეხი ჩვენს წინაშე, ძნელი არ უნდა იყოს მავათი აქედან გაყრა.

**დავითი.** რუსთა საქართველოდან გაყრა გეპირება?

**იოანე.** თუ შენ, მეფე ხვალინდელი საქართველოსი, მიბრძანებ, გამოუცხადებ, ნავიდენ საქართველოდან!

**დავითი.** მერე? გისმენ, სარდალო!

**იოანე.** დღეს ადვილია საქართველოდან მათი მოკვეთა. დავიცვათ ქართველთ მეფობა და განვაშტკიცოთ მეფობით სახელი ჩვენი. როგორც გიმეფინათ ბაგრატიონთა, ისე იმეფ!

**დავითი.** (ერთხანს ყურადღებით აცქერდება იოანეს). რუსები გავყაროთ და საქართველო თქვენ გაჯი-ჯგნინოთ, ქვეყანა ურჩი თავადების კერძი გავხადო?

**იოანე.** რას ამბობ, დავით!

**დავითი.** კვლავაც გნადიათ, თქვენს ნებაზე იპარ-ბაშოთ, ქართველ მეფეთა კანონები თქვენს ჭკუაზედ ატრიალოთ!..

**იოანე.** უკადრებელს მკადრებ, დავით!

**დავითი.** თქვენ, კულაბზიკებს, მანამ არ გეშველე-ბათ, სანამ კანონის მორჩილი არ გახდებით. რუსნი მოთოკვენ თქვენს ამპარტავნობას, რუსნი გაგზდინან

კანონმორჩილად, სწორედ მაშინ აშენდება საქართველო! (გაბრაზებული მიდის).

**სცენაზე ბინდი ეშვება. სიბნელეშივე გაისმის ლა-ზარევის მრისხანე ხმა.**

**ლაზარევის ხმა.** აქ მომგვარეთ, სასწრაფოდ აქ მომგვარეთ იოანე ორბელიანი. ქართველთა სარდალუკა!

**შუქი სცენაზე. ლაზარევი და იოანე.**

**იოანე.** ე მაგის უფლება მხოლოდ მეფესა აქეს, მეფეს შეუძლია, მიხმოს, იჩენება, მეფისნულსაცა. ვინათმე საქართველოს ჯართა სარდალი იოანე ორ-ბელიანი გახლავარ და ვალდებული არ უნდა იყოს, შევასრულო თქვენი ბრძანება, მე ჩემი მეფის ბრძანე-ბას ვემორჩილები.

**ლაზარევი.** თქვენ ტახტის მემკვიდრეს უფლისწულ დაფ-იოს შესთავაზებ, რომ რუსეთის ჯარს საქართველოდან გაჰყრიო. ადასტურებ?

**იოანე.** ცხადია, ვადასტურებ.

**ლაზარევი.** და თქვენ მზადა ხართ, საქართველოდან რუსის ჯარი გაჰყაროთ?

**იოანე.** თუ მეფე მიბრძანებს, უნდა შევასრულო.

**ლაზარევი.** ეგ ხომ დანაშაულია!

**იოანე.** რა დანაშაულზე მელაპარაკები, გენერ-ალო? არა ვგონებ, უცხო ჯარის ქვეყნიდან გაყრა და-ნაშაული იყოს.

**ლაზარევი.** ესურთ, რუსის ჯარს ბრძოლა გამოუცხადოთ.

**იოანე.** მე ჩემს მეფესთან ფიცით ვარ შეკრული, თქვენ კი... თქვენთან არაფერი მაკავშირებს... რატომ არ უნდა შევასრულო მეფის ბრძანება?

**ლაზარევი.** ტახტის მემკვიდრეს თავად შესთა-ვაზეთ...

**იოანე.** იმიტომაც ვარ სარდალი, მეფეს მზადყოფ-ნა დაუფლავსტურო. როცა თქვენ შემოგფიცავთ, თუ მოგეცით ერთგულების ფიცი, მაშინ ვიქნები ვალდე-ბული თქვენს წინაშე. დღეს ეს ჩვენი სამეფოა და...

**ლაზარევი.** (აწყვეტიანებს). ორბელიანო, შენ რომ გესარდალი, მე აქ რა მინდოდა (მიდის). გაფრთხი-ლებ: ფრთხილად იყავი, რუსეთი დაგსჯის!

**იოანე (ითთქმის თავისთვის).** ეგ ვინა თქვა - დრონი მეფობენ და არა მეფენიო?..

**ბერიკა.** და ნავიდა იოანე ორბელიანი - ამ დღის შემდეგ დავითზე გულნატკენი სასახლეში აღარ გამო-ჩენილა, სოფელში იჯდა და ვარამს გულში იკლავდა.

**დაბნელება**

**სარდალ კონსტანტინე მუხრანბატონის დარბაზ-ში სუფრასა გაშლილი.**

**სუფრას თავადნი: ზედგინიძე, რატიშვილი და პი-რუქში მუხრანბატონი შემოსხდომიან.**

**რატიშვილი.** მხოლოდ იმისთვის არ მოგვიხმობდ, სარდალო, პირუცქებად ვისხდეთ.

**მუხრანბატონი.** რაც გაცვლიათ, აღარ გავუვით! რატომვლი. ვიდრე მუხრანბატონი ჩვენს დამამცრობელს თავისა მიუზღავდეს, სადღეგრძელო ვთქვათ.

**ზედგინიძე.** სარდალო, ლამის ბოლშამ დამახრჩოს. სიტყვა გვითხარ კაცური!

**მუხრანბატონი.** მამულს გაუმარჯოს ჩვენსას. ჩვენი მუდამ მამულის სამსახურში ვიდექით. მისი სიკეთისთვის ვიღვწოდით, მის სადიდებლად არც ხვალ დავიშურებთ ძალ-ღონეს.

**რატომვლი.** ძალ-ღონე რა სახსენებელია, სიცოცხლესაც არ ვიშურებთ.

**მუხრანბატონი.** მამულისათვის, მისი გამარჯვებისათვის რამდენ გასაჭირს გავუძელით, კვლავაც გავუძლებთ. ვანა იმის დაუნახაობა იქნება, როგორ ერთ-გულად ვისახურებთ მამულსა, მაგრამ რა... ლიონიძის ხომ უხემე?! მოსვლა არ იწება!

**რატომვლი.** არც მობრძანდება, ტახტის მემკვიდრის აუგად ხსენება გულსა ტკენს.

**ლიონიძე (შემოდის).** ქართველთ არას გვარგებს მეფის აუგად ხსენება.

**ზედგინიძე.** ეგ ყოველმა იცის, მაგრამ ტახტის მემკვიდრე ტახტისთვის დამამწრალთ რად აღარ იწებოდა?

**მუხრანბატონი.** ასე რად შეგვიძულა. ჩვენი სამსახური რატომ აღარ უნდა?

**ლიონიძე.** დღეს ქართველნი იმისთვის არ უნდა იკრიბებოდნენ, რომ უფლისწულს აძაგებდნენ. მეფე გიორგი ზვალ-ზეგ სულს ადღვებს. ქვეყანა თავს არ დაგვემზოს. რა დროს ეგ არის!

**რატომვლი.** დავითს არ მოვწონებართ და არც ჩვენი მოგვარონს.

**ლიონიძე.** მეფეს უნდა მორჩილებდით, დიდებულნი! **მუხრანბატონი.** მეცა და სარდალ იოანე ორბელიანსაც ღირსებათა წართმევას გვიპირებს. თქვენნი სარდალოა არად მიღირს, ნამდვილი სარდლები მყვან-წო.

**ზედგინიძე.** მეფე თანხმობას უნდა ეძებდეს და არა ღირსეულთა ჩაქოლების გზებს.

**ლიონიძე.** დიდებულნი, დიდებულნი, ერთის წუთითა: ტახტის მემკვიდრეს, ხვალინდელ მეფეს ეგრე სწადია. რა გვიპირებათ?

**მუხრანბატონი.** სწორედ იმისთვის გიხმეთ, თათბირი ექნათ: როგორ მოყოლოთ დავითი!

**რატომვლი.** ორბელიანს მიახალა, ეჯიბის სარდალად გაგხბიო.

**მუხრანბატონი.** ჭკუა უნდა ვასწავლოთ, სოლომონ, რომ ეგეთი აზრი მეორედ აღარ მოუვიდეს!

**ლიონიძე.** წარჩინებულნი, ისეთ ქვეყანაში დავიბადენით, ყველანი ქვეყნის გუმანნი ვართ – სარდალიცა და გლეხიცა. დღეს კი მგ სიტყვებით მთავარზე ამბობთ უარს.

**ზედგინიძე.** არ გვასვენებს, ჩვენი დამდაბლება სწადია.

**ლიონიძე (ერთხანს გამკიცხავ მუხრას მიაპყრობს რატომვლის).** ღირსება გაგპარვით – თვალსა და ხელს შუა დაგიკარგავთ, თავადნი, ტახტის მემკვიდრეს არ უნდიახართ? თავად გაეცალეთ: ამ საღამოსვე, გენ-

ბავთ, დილასვე მიეხლებთ და მოახსენებთ ჩვენსა ჯეროდი, გემსახურე, ახლა მზად ვარ იქ დავდგე, სადაც ადგოს მისიჩენ". ქვეყანას იქიდან ემსახურეთ, საიდანაც მეფე მოვთხოვთ! ღირსებას ეგ შეგმატებთ!

**მუხრანბატონი (ხმამალა იცინის).** **გაუგრძელებდა კიდევ სიცილი.** სოლომონ, რა რჩევას გვაძლევ: მეფეს ქვეყანა დასაღვსუად ემეტება და მე მორჩილებით თავი დავუტკრა?

**ზედგინიძე.** ვინ მოგახსენა! ეგ არ იქნება! **მუხრანბატონი.** ჩვენი რა გვრჯის, გარდა საქართველოს სიკეთისა!

**ლიონიძე.** მეფეს უნდა მორჩილებდით!

**ზედგინიძე.** აარა, ეგ არ გამოვა!

**რატომვლი.** რუსეთს გომიასვით ელაქუცება.

**მუხრანბატონი.** არა, დავითის მეფობა არ იქნება!

**რატომვლი.** ეგ სამეფო კაც არ არის!

**ზედგინიძე.** დავითის მეფობა საქართველოს თავის მოჭრა – დამბობს ქვეყანას.

**მუხრანბატონი.** გემისის, სოლომონ? ხალხი ეგრე ფიქრობს, ხალხი ამბობს, რომ დავითი მეფედ არ გამოდგება. ერის ხმა კი იქ, მალა ეკურთხება.

**ლიონიძე.** და თქვენა ხართ ხალხი? სამიოდ თავად? ვინ, ვინ უნდა იყოს მეფე საქართველოსი?

**ზედგინიძე.** რომელიც გნებავს შეიღო მეფისა ერეკლესი, რით ვერ გასწევნ მეფობას ოლონ, გნებავს, ალექსანდრე. ვახტანგს რას უწუნებ ან მირიანს. ფარნაოზი?

**რატომვლი.** ყოველი ამითგანი, ყოველი ძე მეფე ერეკლესი, საქართველოსთვის დამთება.

**ლიონიძე.** რუსეთის იმპერატორმა დავითი დაამტკიცა, სხვათა სახელდება ქვეყანას არებს.

**მუხრანბატონი.** არა, არც ერთი! ერეკლეს ძენი – გიორგის ძმები, ერთმანეთს დაერევიან, რატომ მე არ მხვდა მეფობაო, ტახტისთვის ბრძოლას საქართველოს გადააყოლებენ.

**ლიონიძე.** აი, მაგიტომ უნდა ვიყურით. ვაითუ, ჩვენი შეწმენობით მტერმა იმძლავროს.

**რატომვლი.** ეგერი არა? მამ, ვინა?!

**ზედგინიძე.** თუ არც დავით, არც ერეკლეს ძენი, მამ, ვილა?

**მუხრანბატონი.** ალექსანდრე ბატონიშვილს ლაშქარი უკვე შეუტრებია და უდაბნოს დგას, ტფილისს აპირებს შემოჭრას. ტახტი მე უნდა დავისაკუთროო.

**რატომვლი.** თავად დავითის ძმათგან ერთ-ერთი. დავითს ყოველი სჯობია!

**ლიონიძე.** სარდალო, რა დროს ეგ არის, ტახტის მემკვიდრე დამტკიცებულა.

**მუხრანბატონი.** სამეფო კაცნი, დიახაც, გვეყვანან, როგორ არა, მაგრამ ვერც ერთი ვერ იმეფებს. არც ერთი არ ეტყვის ძმას: – შენ იმეფე, ძაო, მე კი შენს გვერდით მიგვუღვეო. რომელი ძმაც არ უნდა ვირჩიოთ, ქვეყანა კიდევ უფრო აირევა.

**ლიონიძე.** შეწერდით, აი, მანდ შეწერდით! რუსთა იმპერატორმა ტახტის მემკვიდრედ დავითი დაამტკიცა, შეწერდით!

ც. ს. ჯ.

**მუხრანბატონი.** დავითი მეფედ არ ვარგა!  
**ლონიძე.** თქვენ წყალს ისე ამღვრეთ, თევზს  
სულ სხვა ამოიყვანს.

**მუხრანბატონი.** ყური მიგდეთ: იმისათვის, რომ  
ქვეყანაში სიმშვიდე იქნას, იმისათვის, რომ ძმები ერთ-  
მანეთს არ დაერიონ, საკუთარი პატივი და ღირსებაც  
შეინარჩუნოთ, საქართველოში გაერცვლდეს ზეობა  
რუსეთის იმპერატორისა! საქართველოს მოუვლის  
მეფე საქართველოსი - რუსეთის იმპერატორი.

**ლონიძე (ყვირის).** რას სჩადით, ქართველნო!  
**მუხრანბატონი.** გვაცალე, ლიონიძე. რუსეთის  
პირდაპირი მმართველობა საქართველოში!

**ლონიძე.** ეშმაკი დაპატრონდება თქვენს სულსა და  
აზრს! შეხედეთ, რა დღეშია საქართველო. ჯვარცმუ-  
ლის მადლობა, ილუპება ქვეყანა: აქეთ სარდლები ინ-  
ვეთ, იქით - მეფის ძენი, მელიქი და სომხობა ხომ  
გველურად იქცევა...

**მუხრანბატონი.** ქვეყანა ეგრე არეული სანამ უნდა  
იყოს!

**ლონიძე.** ვაი, მოსწრებას სოლომონ ლიონიძისა,  
ვაი, მოსწრებას ყოველთა ქართველთა... - დღეს,  
დღეს ეშობა დიდება საქართველოსი! ნაცვლად იმ-  
ისა, რომ იბრძოდეთ, ბაგრატიონანთა მიერ სისხლით,  
ოფლით დღემდე მოტანილ სამეფოს ყაყარჯნებად  
შეუდგეთ, გნადათა, ქვეყანა ხონჩით მიართვათ რუსთ  
ხელმწიფეს!

**მუხრანბატონი.** ხომ უნდა ეშველოს, ხომ უნდა  
დალაგდეს ანწილ-დანწილი, დაცემული სამშობლო!  
ეს მხოლოდ რუსის კანონს შეუძლია და არა დავითისა!  
**ლონიძე.** კოვდილნო, ცოვდილნო! ბრალეული ხართ  
არა დავითის, საქართველოს წინაშე. მებრალბეთი!

**დაბნელება**  
**კოვალენსკი და ლაზარევი**

**კოვალენსკი (შემოდის).** სასწრაფო პაკეტი კავკასი-  
ის მოვარმართებელ კნორინგისაგან.

**ლაზარევი.** რას გვწერს მთავარმართებელი?  
**კოვალენსკი (კითხულობს).** „იმ შემთხვევაში, თუ  
მძიმედ დაავადებული მეფე გიორგი გარდაიცვლება,  
ყოველი ღონე იხმარეთ, რომ არ მოხდეს მემკვიდრის  
მეფე კოვალენსკი“.

**ლაზარევი (წამოხტება გაკვირებული მიაჩრდება**  
**კოვალენსკის).** ეს კი იმას ნიშნავს, ყველაფერი იცვლება.  
თვალყური ვადევნოთ ტახტის მემკვიდრეს - დავითს.  
**კოვალენსკი.** არა მხოლოდ დავითს... არა მხოლოდ  
დავითს. მთელ სამეფო ოჯახს... მეფე ერეკლეს შვი-  
ლებს - დავითის ძმებს. ყველას.

**დაბნელება**

**ბერიკა (ავანსცენაზე მუორთხამს ფეხები).** ცუდის  
მაცნე ვარ და არა ექნა! 27 დეკემბერს დილით მეფე  
გიორგის მადა დეკაგრა. არ ინება წინიანი, არც პა-

ტრის მომზადებული ჩაი. წყალმანკი გულს მისწავს  
სალამოს ლოცვის წინ შემძიმდა მეფე.

**გიორგი (თოთრ საომოსი სცენის სიღრმიდან მოდის).**  
მომიტყვე დაწნაშული, დედაო ჩემო; სთხოვე ძმათა  
ჩემთა, მომიტყვეონ ბრალი ჩემი მათთან. უფალო, შემ-  
ინებალე; დედაო ღვთისა, მიიბარე სული ჩემი!

**ბერიკა.** 1800 წლის 28 დეკემბერს მეფეს ულოცეს  
ცისკარი, და მეფე წირვაც.

**გიორგი.** ხორცი და სისხლი მაცხოვრისა შემიყვანს  
მე სასუფეველსა. თვით მაცხოვარი იზრუნებს სამეფო-  
სათვის, არა ჩემისა. რუსთა ხელმწიფესა ვტოვებ პა-  
ტრონად ქრისტიანობისა. იგი განავებს ყოველსავე. დე-  
დაფალო, ნუ სტირი ჩემთვის. იესო ჩემი დაგატკობს  
შენ და შვილთა ჩემთა. მოსავე ქრისტესი არა სადა დაე-  
ცემის. დიახ, დედაფალო, არა სადა დაეცემის!

**ბერიკა.** დილის 11 საათზე მეფე გიორგიმ სული  
განუტყევა.

**ავანსცენა**  
**ლაზარევი და კოვალენსკი თუ აქამდე თავაზი-  
ანად საუბრობდნენ, ახლა ხმა ფოლადივით მტკიცე  
გაუხდათ.**

**ლაზარევი.** ივანოვ, გადაკეტეთ ქალაქის შემოსას-  
ვლელი კახეთიდან! **კაზაკები მკვეთრი ნაბიჯით იკავე-  
ბენ პოზიციას!** პარტიზან, გადაკეტეთ შემოსასვლე-  
ლი გორიდან! **კაზაკები პოზიციას იკავენენ!**

**კოვალენსკი.** შიშოლე, ალყა შემოარტყით სასახ-  
ლეს. ჩემი ნებართვის გარეშე სასახლეში ვერც ვერ-  
ავინ შევიდეს და ვერც ვერავინ გამოვიდეს! პრაზდ-  
ნოვ, ალყაში მოიქციეთ მეფე ერეკლეს შვილებს:  
იულონის, ფარნაოზის, ვახტანგის, მირიანის სახლები.

**ლაზარევი.** ალყაში მოიქციეთ დარეჯანის სასახლე.  
**(კაზაკები სხვადასხვა მიმართულულებით მიემართებიან.)**

**კოვალენსკი.** ჩერტოვსკი, ალყაში მოაქციეთ სოონის  
ტაძარი. კარგად შეამონმეთ იქ შემსვლალნი, გამომსვ-  
ლელნი!

**ალღვეულები ადამიანების შეძახილები, ქალების  
შეკივლება.**

**ლონიძე.** ისმინეთ, ქართველნო, საქართველოს  
ტახტის მემკვიდრე, პირმშო მეფისა გიორგისა დავითი  
მიმართავს ხალხს.

**დავითი.** ქართველნო, იძინეთ და იშრომეთ მშვი-  
დად, გამარჯვლდით და აშენეთ საყვარელი ქვეყანა  
თქვენი. რუსეთის დიდმა ხელმწიფე იმპერატორმა  
ბედნიერ მყო და მცნო საქართველოს ტახტის მემ-  
კვიდრედ. ხვალ-ზეგ მოვა ფირმანი ჩემი მეფობისა.  
დღეს კი ვინცებ ქვეყნის გაძლოლას და ვაცხადებ: თუ  
რამ დანაშაული გაქეთ ჩადენილი დღემდე, ყველას  
შეგენდოთ - არ მოგაკითხებათ დღემდე ჩადენილი  
არც ერთი ბრალეულობა, მაგრამ ხვალ დილიდან ყო-  
ველი დანაშაულისათვის გასამართლებით რუსული  
კანონებით. დიდებული...



ლაზარევი (ყვირის). პორიადოკ, პორიადოკი აქ მოუხმეთ ქართველ დიდებულთ. ყოველი ვინც ქალაქშია, აქ გამოცხადდეს!

**ლიონიძე.** ყველა აქ არის. მეფის გარდაცვალებით სულმძებრული ყოველი ქართველი დიდებული სასახლესთან მოვიდა.

**ლაზარევი.** ყველამ ისმინეთ!

**ლიონიძე.** ისმინეთ, ქართველნო, ლაზარევი გაუწყებთ! (დავითს.) ალბათ, მეგვიდრის ამბავი უნდა აუწყოს ხალხსა.

**დავითი.** ალბათ!

**ლაზარევი.** Я собрал вас всех чтобы вы выслушали повеление императора Павла: после смерти Георгия тринадцатого никого не назначать преемником Грузинского престола.

**ლიონიძე.** ეს რა მეზი დაგვეცა, დავით!

**დავითი (დაბნეული).** სმენა ხომ არ მატყუებს, სოლომონ!

**ლიონიძე.** სამეფო გარდაცვეცვალა, დავით, ქვეყანა დაეკარგეთ!

#### შეძახილები:

- ვერა-რა გავიგეთ!

- არავინა ხართ ქრისტიანი?!

- იქნებ, გვაუნყოთ, რას ჩაგვძახის.

**ლიონიძე.** რას ვშვრებით, დავით!

**დავითი (ნერვიულობისგან ენა ებმის - სიტყვა არ ისმის).** მმმ... ხხხ...

#### შეძახილები:

- გაგვაგებინეთ!

- მოგვითარგმნეთ!

- იქნებ, გვაუნყოთ!

**ლიონიძე (ლაზარევის თარჯიმანს, რომელიც წინ წარსდგება, რომ ნათქვამი თარგმნოს, ხელით ანიშნებს არ...ასო საჭირო).** იყურეთ, ხალხნო, ახლავ მოგი-თარგმნით: გენერალი ლაზარევი გიცხადებთ, რომ იმპერატორ პავლეს განკარგულებით გიორგის გარდაცვალების შემდეგ მეფედ ეკურთხება მისი ძე დავით და ულოცავს უფლისწულს, თქვენც მიულოცეთ დავითს!

#### შეძახილები:

- გაუმარჯოს!

- დიდება მეფეს!

- ღმერთმა კეთილი ქმნას!

- დავით მეფეს დიდება!

- ღმერთმა ახაროს საქართველო დავითის მეფობაშია!

**ლაზარევი.** Лионидзе неправильно перевел: «Его императорское величество Павел повелѣвает: никто не был назначен преемником Грузинского престола».

**ლიონიძე.** ხალხნო, ქართველნო, ლაზარევი მოგახსენებთ, რომა ლიონიძემ სწორად მოგითარგმნათო ყველაფერი: გიორგის გარდაცვალების გამო მეფედ ეკურთხებაო ძე მისი დავით, ისე, როგორც ეს გახლდათ დათქმული ორი დიდი მეფის მიერა და ახლავ მიულოცეთო. გაუმარჯოს საქართველოს მეფეს!

#### შეძახილები:

- საქართველოს მეფეს დიდება!

- გაუმარჯოს მეფე დავითს!

- ვინალო, დავით მეთოხის გზა გაიმეოროს!

- იხარე ჭერო, მოკედი მტერო!

- ჩვენს მეფეს გაუმარჯოს, ხალხო!

- გამარჯვება არ მოკლებოდეს!

**ლაზარევი (თარჯიმანს მიუბრუნდება).** ჩურჩულებენ. ლიონიძეზე მიათებენს. Арестовать!

#### კახაკები ლიონიძისაკენ გაემართებიან.

**ლიონიძე.** ხალხნო, იმეცადინეთ თქვენი მეფისთვის, გაუმარჯოს საქართველოს მეფეს! (გარბის).

#### შეძახილები:

- სოლომონ, თავს უშველე!

- რად მისდევნ მეფე ერეკლეს რჩეულს!

- ჩვენს მონაზე გასაქცევად გვექცა საქმე!

- დროზე, დროზე, სოლომონ!

- რუსო, დადექ!

**დავითი (ლაზარევის).** რას აკეთებთ, გენერალო, ხალხს რატომ აბრძვიებთ!

**ლაზარევი (დავითს ხელს ჰკრავს).** იქით, იქით! (კახაკები დავითს, ხალხს, მსმენელებს ავიწროებენ - ცდილობენ სცენიდან გაიყვანონ.)

**დავითი.** რა ხდება-მეთქი, მომახსენეთ, ხალხს რისთვის ერეკებით!

**ლაზარევი.** შენთვის არ გვცალია, წესრიგს დავიმორჩილე!

#### შეძახილები:

- უკან, უკან!

- რას გვერჩით!


- ჩვენს სახლთან დაგვაყენეთ!

**დავითი.** საქართველო? მეფე? საქართველოს სამეფო

#### დაბნელება

პირველი მოქმედების დასასრული

გაგრძელება იქნება



# გურამ მათიაშვილი

## მწუხრი სამეფოისა

დრამატურგი ღრამა ორ მოქმედებად

### მორა მოქმედება

სცენური გარემო უცვლელია. დავითი და ლიონიძე.

**ლიონიძე.** ერთი თვეა, გიორგის სულმა ზეცაში დაიგანა, ერთი თვეა, მიცვალებული სიონის ტაძარში ასვენია. საქართველოს მეფედ შენა ხარ შეგულებული. გაუძებ ქვეყანას!

**დავითი.** მამას ჩემსას დავით გარეჯის მონასტერში ენადა დასაფლავება, იქ კი ალექსანდრე – ძმა მისი, ბაბა ხანის ჯარით დგას და ტფილისზე აპირებს გამოლაშქრებას. ლაზარევი თავს არიდებს მასთან შეტაკებას.

**ლიონიძე.** მე წავალ ალექსანდრესთან, შეევედრებო, მეფე დაგვასაფლავებინოს.

**დავითი.** აკი გითხარი – ლაზარევი არ იზამს. ბაბა ხანის ჯარით მოსული ბატონიშვილი გუნებას უშლის.

**ლიონიძე.** საქართველოს მეფის დასაფლავებას ლაზარეს რატომ ეკითხებით, ჭირისუფალნი ჩვენ ვართ. ჩვენი მიცვალებული მინას ჩვენ მივბაროთ. ცოცხალ!

**დავითი.** დავით გარეჯში უტხოვ ჯარი დგას-მეთქი.  
**ლიონიძე.** თუ დავით გარეჯში არ გამოდის, მცხეთას მივბაროთ მინას – მამის გვერდით.

**დავითი.** მიცვალებულის ანდერძს მე ვერ შეეცვლი, ლაზარევიც არ იზამს, არც კოვალენსკი.

**ლიონიძე.** არ მომინოს მეფედ კურთხევის შეყოვნება. ცუდი რამ უდევთ გულში.

**დავითი.** სოლომონ, იმპერატორმა ორჯერ მცნო ტახტის მემკვიდრედ.

**ლიონიძე.** მამ, რისთვის ითრევენ ფეხსა! დავით, გაფრთხილდი, სახელმწიფო ხელიდან გეცლება!

**დავითი.** ტახტის მემკვიდრედ მცნო-მეთქი იმპერატორმა.

**ლიონიძე.** მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხანში ჩახედენ, რა მადანი ჩაუგდო ხელში ღმერთმა. ხომ ვიყავ მათთან ძმობის მომხრე, დღეს...

**დავითი (ლიბილით აწყვეტინებს).** აბა, რას ამბობ, სოლომონ, ამოდენა ზღვისა და ხმელეთის მპყრობელი მეფე ამ ერთი მტკაველა ქართლ-კახეთისთვის პირს გაიტეხს? მე ვენდობი რუსთ იმპერატორსა.

**ლიონიძე.** მიცვალებულის ამდენ ხანს დაუმარბაობა ვგრე უბრალოდ არ იქნება. დროა მივხედო, დავით!

**დავითი.** ნუ შვითავ, სოლომონ, – ხვალ-ზეგ ჩემი მეფობის კურთხევაც მოვა. იყუჩე!

### დაბნელება.

### ვახტანგი და ბერიკა.

**ვახტანგი.** აქ დაჯექ და წერე!  
**ბერიკა (ბატის ფრთას მოიმარჯვებს, სანერად ემზადება.)** გისმენ, ბატონო!

**ვახტანგი.** ქართლისა და კახეთის მოსახლეთ! ყოველ ქართველ მამულოშვილს, თავადს, აზნაურს, ეკლესიის მსახურს თუ გლეხადმოიბლსა, (წაფიქრდება.) არა, ეგ არ გვინდა. ასე დანერე: მამულიშვილნო!

**ბერიკა (პათეტიკურად).** ოჰო, მამულიშვილნო,

დასასრული. დასაწყისი "ცისკარი" №3-4. 2011.

# ღრამატურბი

სხვაგვარად არ იქნება, გისმენ!

**ვახტანგი.** მამულიშვილნო, მოვალენი ხართ, მო-  
ბრძანდეთ ერეკლე მეფის ძეთა შუკრებაზედ. მეფის  
ერეკლეს ნებითა და ერის ხმითა მეფე საქართვე-  
ლიისა უნდა იყოს იულონ - ჩვენი უფროსი ძმა. ვინც  
მისვლას არ ინებებს, დაჰქარგავს მეფის წყალობას  
და ჯილდოს. გაუფრთხილდეთ ცოლსა და შვილებს,  
სისხლიც არ დაიშუროთ იმისთვის, რომ მოხვიდეთ.  
გთხოვთ, გირჩევთ და გიბრძანებთ კიდევ, მოხვი-  
დეთ. ვიდრე ცოცხალი ვართ, ჩვენს განზრახვას არ  
გადავალთ (**ბერიკას**) რა უქენი, დანერე?

**ბერიკა.** მერე როგორ, ბატონიშვილო!  
**ვახტანგი.** ახლა ახალი ქალაღი მოიმარჯვე!  
**ბერიკა.** ქარიც ვერ გამტაცებს.  
**ვახტანგი.** სწერე. კავკასიის მთავარმართველს  
თუდორე კონონისგა.

**ბერიკა (მსაუღრებს ირონიის).** გული მითქვამს, -  
მალე იმპერატორიც წაიკითხავს ჩემს ბატოფურსა!  
**ვახტანგი (ფიქრობს).** იყუჩე... ჰო, ასე. თქვენო  
აღმატებულებავ, ალბათ, არ გაგაკვირდებათ, თუ  
გაუწყებთ: ჩვენის ძმის - გიორგის გარდაცვალება  
ერთობ მწუხარედ გვხდის.

**ბერიკა (მსაუღრებს ირონიის).** ზედ არ ეტყობა  
მწუხარება? სულ ცრემლი სდის!

**ვახტანგი.** არა, ეგ წაშობე, ასე დაიწყე: (**კარნახ-  
ობს**) თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ, მეფე ერეკლეს  
ძეთ: იულონს, ვახტანგს, ფარნაოხსა და მირიანს  
ჩვენის ძმის - მეფე გიორგის გარდაცვალება ფრი-  
ად მწუხარედ გვხდის. დავით გარეჯს დამწუხრე-  
ბული ზის ჩვენი ძმა ალექსანდრე. თავს მოვალედ  
ვრაცხთ გაუწყით: მეფის ერეკლეს ანდერძით გიორ-  
გის აღსრულების შემდეგ საქართველოს ტახტი  
ეკუთვნის არა გიორგის უფროს შვილს - დავითს,  
არამედ ერეკლეს მომდევნო ძეს იულონს, მერეთ  
თქვენს მონა-მორჩილს ვახტანგს, მერეთ - მირ-  
იანს, მერეთ - ალექსანდრეს, მერეთ კი ერეკლეს  
ნაბოლარა შვილს - ფარნაოხს.

**ბერიკა (წერს).** განა მხოლოდ ახალგაზრდობაში,  
ის ცხოვრებულ სიჭარმაგვეშიც ერთობ გამრჯე ყო-  
ფილა.

**ვახტანგი.** სწერე, აქ ბერიკაობა როდი გვაქვს.  
შემდგომ ამისა მეფობის გვირგვინი უნდა გადა-  
ვიდეს გიორგის შვილებზედ; დავითზედ, მერეთ იო-  
ანეზედ, მერეთ ბაგრატზედ, მერეთ თეიმურაზზე  
და მერეთ - მიხეილზედ.

**ბერიკა (წერს).** დიახ, ბატონო.  
**ვახტანგი (კარნახს განაგრძობს).** რას გვიზადებს  
დავითი ბიძებს - მეფე ერეკლეს შვილებს? რუსების  
შემწეობით მამულიდან გაგყრილი. არღა ვიცით,  
ვით მოვიქცეთ, წინ აღუდგეთ დავითსა, ძმისწულ-  
სა ჩვენსა, ვაითუ, დიდი იმპერატორის პავლეს

რისგა დავიმსახუროთ. არ აღუდგეთ და ვაითუ,  
მართლა გავგაძევოს სამშობლოდანა.

**ბერიკა (წერს).** გავგაძევოს სამშობლოდანა...  
**ვახტანგი.** და თუ ერეკლეს ძეთაგან არ  
აირჩევთ მეფეს, ნურა ქართველი ნუ იქნება მეფე  
საქართველოსი. რუსეთმა მართოს საქართველო.

**ბერიკა (წერს).** ნურა ქართველი ნუ იქნება მეფე  
საქართველოსი, რუსეთმა მართოს საქართ... (**ვახ-  
ტანგს ახედავს**) ჰა...

**ვახტანგი.** ჰო, ეგრე - რუსეთის მეფე იყოს  
მმართველი საქართველოსი...

**ბერიკა (მარჯვენა ხელს აცხაცხავებს).** ვაი, ვაი,  
მიშველე, ბატონიშვილო, მიშველე!

**ვახტანგი.** რა მოგდის, რა ჭირი გეტაკა!

**ბერიკა (წამობტება, ადვილზე ხტუნავს).** სული  
მძვრება, ბატონიშვილო!

**ვახტანგი (ყვირის).** რა ჭირი გეტაკა-მეთქი!

**ბერიკა.** ქარებმა დამიარეს... აი, ნახე, ხელი რო-  
გორ გამიხმა. (**ხელს ჯობივით ატრიალებს**) შეხედე,  
შეხედე, ბატონიშვილო, რა დღეში ვარ.

**ვახტანგი (გასძახის).** ეი, მანდ ვინა ხართ! (**შემო-  
დის მსახური**). ბერიკას ხელში ქარმა დაუარა და ვე-  
ლარა წერს...

**ბერიკა.** ვაი, ვაი, ვაი!

**ვახტანგი (მსახურს).** წყალი ისე აადუღეთ, მისი  
ქაში შუხს სწვდობდეს. ახლა ვაი-ვაის ყასიდად  
იძახის, ორივე ხელი მდულარეში ჩააყოფინეთ და  
გამაგონეთ, როგორ იყვირებს.

**ბერიკა.** ეპეე! (**გარბის**).

## დაბნელება.

პროექტორის შუქი დავითის სახეს გაანათებს.

დავითი (**ავანსცენაზე გამოდის. გასძახის**). ახლავ  
გაგზავნეთ ხალხი, გადაკეტეთ ჩემი ბიძებისკენ მი-  
მავალი ყველა გზა! არავინ მივიდეს იქა! არავისა  
აქვს უფლება, უარყოს მეფე გიორგისა და რუს-  
თა იმპერატორის გადანაწყვეტი! ვინც თვისას არ  
დაიშლის, თუ მანინ ბიძაჩემებთან მისვლას მოი-  
ნადინებს, ცხენზე იჯდეს, ცხენი წაართვით, ურე-  
მზე იჯდეს, ურემი წაართვით; ტანთ გახადეთ, დე-  
დიშობილა ეახლოს!

გვესმის ხმლების ჩახაჩუნი, ყვირილი:

- რასა იქმთ, გონს მოდით!
- ჩვენი მეფისთვის დავიხოცებით!
- გზა, გზა მოგვცით!
- ასეთია ნება საქართველოს მეფე დავითისა!
- საქართველოს მეფე იულონია!
- ვაი!



– შეჩერდით, ბრიყვნი!

– უკან, უკან დაიხით, შორს!

**ბერკა** ანჩისხატის ეკლესიაში წირვა რომ დაამთავრა, ლაზარევი მშვიდად გაუყვია გზას და არ კი იცოდა, ეკლესიიდან ვინ გამოჰყვია, ვინ მოსძახოდა.

**დარეჯანი.** გენერალო, ხომ არა გგონია, გიორგისა და დავითის ნებითა ხარ საქართველოში. ნუთუ არ მოგეხსენება, რომ ჩემი ჭაპანის გამწვევა – მეფე ერეკლემ გაგიღო დარიალის კარი.

**ლაზარევი.** დედოფალო დარეჯან... თავად გეახლებოდა, რისთვის შენუხებულხარ?

**დარეჯანი.** მოგეხსენებათ თუ არა?

**ლაზარევი.** დიას.

**დარეჯანი.** მერე? ეგ საიდან ჩანს?

**ლაზარევი.** დიდად ვაფასებ მის უნარს, განჭვრიტოს მომავალი.

**დარეჯანი.** ეგ ვაფასებ რაში სჩანს – ნუთუ იმ-აში, გიორგის ძეს – პირდაფჩენილ დავითს შედგომიხაროთ საყრდენად და ამით ისა გნადიათ, მარიამის დედოფალმა კვლავაც გააგრძელოთ. თუ აქამდე მეფის ცოლობით დედოფლობდა, ხვალეიდან მეფის დედა იქნება?

**ლაზარევი (ერთხანს დუმს).** თუ გუმანი არ მალაატობს, თქვენ სხვა გზა იცი.

**დარეჯანი.** ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა!

**ლაზარევი.** საინტერესოა. (დუმით) ვისმინეთ.

**დარეჯანი.** როგორ გგონიათ, აქ იმისთვის მოვედი, რომ ცნობის ნადილი დავაკმაყოფილოთ?

(დუმით.)

**ლაზარევი.** მამ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

**დარეჯანი.** ჯერ ერთ კითხვაზე მინდა პასუხი.

**ლაზარევი.** ხომ შეიძლება, ჩემი პასუხი სწორად ვერ გაიგოთ ან არ მოგეწონოთ?

**დარეჯანი.** ალაღად ნათქვამს სწორად გავიგებ.

**ლაზარევი.** გისმენთ.

**დარეჯანი.** გნადიათ თუ არა, საქართველო იყოს რუსეთის ქვეშევრდომი?

**ლაზარევი.** ამას მე არავინ მეკითხება. მე მხოლოდ გენერალი ვარ, დედოფალო.

**დარეჯანი.** სწორედ გენერალ ლაზარევის ვეკითხები: სნადია თუ არა მას, საქართველო იყოს რუსეთის ქვეშევრდომი?

**ლაზარევი (ერთხანს დუმს).** აა... არა. ნუ მეითხავთ, რატომ. ჩემი პასუხი გულს გატკენთ. (დუმით.) ბრძანეთ, დედოფალო.

**დარეჯანი.** ის თუ გნადიათ, საქართველოში იყოს მშვიდობა.

**ლაზარევი.** ეს ჩემი მოვალეობაა, ამისთვის ვარ აქ.

**დარეჯანი.** თუ დავითი იქნება ქართლ-კახეთის მეფე, ჩემი მვილი, ალექსანდრე ბატონიშვილი მშვი-

დი ძილის უფლებას არ მოგცემთ არც თქვენ, არც დავითს და არც – ქვეყანას.

**ლაზარევი.** მომწონს თქვენი გულახდილობა, მეც ასევე გიპასუხებთ: ბაბა ხანის მეგობრებისთვის – ჩვენი მტრებისთვის სახრწობელა გვაქვს გამზადებული.

**დარეჯანი.** მართალი ყოფილხართ – მხოლოდ გენერალი ხართ და მეტი არაფერი. ვერაფერს მიხვდით.

**ლაზარევი.** მაგრამ, თუ დედოფალს აქვს გეგმა საქართველოში მშვიდობის დამყარებისა, მე შემიძლია დაუყოვნებლივ მოვახსენო, სადაც ჯერ არს.

**დარეჯანი.** მამ, მოახსენეთ: ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთთან ბრძოლაზე ხელს აიღებს, თუ საქართველოს მეფე დედოფალი გახდება.

**ლაზარევი.** დედოფალი? ვერ გავიგე.

**დარეჯანი.** თუ დავითს აკურთხებთ მეფედ, საქართველო ვერ მოისვენებს, არ დაცხრება ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ, თუ მე დაეჯდები ტახტზე, რომელიც ჩემს თანამეცხედრეს ეჭირა, ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებს.

**ლაზარევი (გაკვირებული).** თქვენ?

**დარეჯანი.** ისე, როგორც ეკატერინა მეფობდა რუსეთს.

**ლაზარევი (პაუზის შემდეგ).** თქვენს სურვილს იქ გადავცემ, სადაც ჯერ არს.

**დარეჯანი.** რაც შეიძლება დაუყოვნებლივ! (მიდის. ლაზარევის დაფინებული მზერა მიაცილებს.)

**ბერკა.** მე ვიცი, რაზე ფიქრობს გენერალი: რა ეშველება ქვეყანას, სადაც მეფობის ამდენი მსურველია? იფიქრე, გენერალო, იფიქრე, იქნებ, წამალიც ნახო! მაგრამ გენერალს ფიქრს ვინ დააჯღალის – ტახტის აფორიაქებული მემკვიდრე მისკენ მოისწრაფვის.

**დავითი (შემოდის).** ხალხი ერთმანეთს დაერია, ძმა ძმას არ იწიობს. უნდა გვიშველო, გენერალო!

**ლაზარევი.** გზა რისთვის გადაკეტეთ?

**დავითი.** ხელმწიფე იმპერატორმა მე მცნო ტახტის მემკვიდრედ, სადაც ჩემს ხელთ არის.

**ლაზარევი.** ვიდრე იმპერატორის გრამოტა არ მიგვიღია, მეფე ვერ გახდებით.

**დავითი.** მაგრამ ტახტის მემკვიდრედ ხომ ვარ დამტკიცებული!

**ლაზარევი.** დიას.

**დავითი.** საქართველო ხომ არის რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა?

**ლაზარევი.** ჯერ არა, ჯერ ასეთი მანიფესტი არ მიგვიღია.

**დავითი.** მფარველობას ხომ გვინებთ? დაგვიფარეთ სისხლისღვრისაგან!

**ლაზარევი.** მთელი ქართლ-კახეთი მღელვარებს.

# დრამატურგია

ყველას თავისი მეფე უნდა, ყველგან ჯარს ვერ ჩააყენებთ.

**დავითი.** ქალაქში წესრიგის დამყარება ჯერ კიდევ მეფე-ბატონმა ბრძანა, მას შემდეგ უფრო აირია ტფილისიცა და დაბა-ქალაქებიც.

## დაბნელება.

**ავანსცენაზე ვახტანგი და კოვალენსკი გამოდიან.**

**ვახტანგი.** თქვენო აღმატებულებავ, უნდა გაუწყოთ ქართველი ხალხის ნება: დავითი ვერ იქნება მეფე საქართველოსი.

**კოვალენსკი.** იმპერატორმა მეფისნული დავითი დამატკიცა ტახტის მემკვიდრედ.

**ვახტანგი.** იმპერატორს ქეშმარიტება არ მოახსენეს. მეფე ერეკლეს ანდერძით, საქართველოში მისმა ძებმა უნდა იმეფონ და არა შვილიშვილებმა.

**კოვალენსკი.** ჩემთვის კანონი იმპერატორის ნებაა.

**ვახტანგი.** დავითის გამეფებით დიდი სისხლისღვრა დაინებება...

**კოვალენსკი.** სისხლისღვრა უკვე დაიწყო!

**ვახტანგი.** ეგ არეული დროის ყაჩაღობაა და არაფერია იმასთან შედარებით, რაც ხვალ იქნება! ხალხი დავითს არ ამეფებს. მეფე საქართველოსი უნდა იყოს იულონი!

**კოვალენსკი.** იქნებ, მართალნი ხართ!

**ვახტანგი.** და, თუ იულონი არა, არც არავინ! პირდაპირი მმართველობა რუსეთისა!

**კოვალენსკი.** ვერ გავიგე, რა მითხარით?

**ვახტანგი.** თუ იულონი არ იქნება მეფე ქართლ-კახეთისა, ქართველი მეფე არც გვწაღია. — რუსეთმა მართოს საქართველო.

**კოვალენსკი.** ისეთი აფორიაქებული ხართ, ნათქვამი ვერ გავიგე, უფლისწულო, მშვიდად მითხარით.

**ვახტანგი.** გაუგებარს რას ვამბობ: თუ ძე ერეკლე მეფისა — იულონი — არ იქნება მეფე, ნურც ნურა ქართველი დაიჭერს ქართლ-კახეთის ტახტსა.

**კოვალენსკი.** ეგ როგორ... მაშ... ქვეყანა... ქვეყანა ხომ უნდა მართოს...

**ვახტანგი.** დიდმა პავლემ — რუსეთის იმპერატორმა პირდაპირ მართოს საქართველო.

**კოვალენსკი (პაუზის შემდეგ).** პოო... თუ ასე გწაღიათ, ასევე მოვახსენებ იქ, სადაც ჯერ არს.

## დაბნელება.

**ავანსცენაზე ჩქარი ნაბიჯით მოდის ლაზარევი.**

**ბერიკა (მეფეებზე).** ახლავ უნდა გამომყვეთ, დედოფალს თქვენთან საუბარი სურს.

**ლაზარევი (ირონიით).** რომელს მოვენატრე? **ბერიკა.** გენერალს დედოფალი მარიამი ელოდება.

**ლაზარევი.** ვეახლები.

**ბერიკა.** ახლავ მომგვარეო.

**ლაზარევი.** ეგ მაგის სურვილია, მე კი ვამბობ, ვეახლები-მეთქი. (მიდის, გზას ორი კახელი მოუჭრის).

**პირველი.** ყური გვიგდე, გენერალო! კახეთმა გამოგვე ზავნა. კახეთის მოციქულნი ვართ.

**ლაზარევი.** გამარჯობა, კახელებო!

**მეორე.** ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, კარგო კაცო!

**ლაზარევი.** რამ შეგანუხათ, რამ ჩამოგიყვანათ, კახელებო!

**პირველი.** კახელებმა — თავდამაცა, აზნაურმაცა, ერმა თუ ბერმა, მთელმა კახეთმა ინება ასე: მეფედ ჩვენ მხოლოდ დავითსა ვცნობთო. ქართლ-კახეთის მეფე დავითია, სხვა არცა გვდომებია, არც ვინდომებთო.

**ლაზარევი.** იულონი? ზოგი ამბობს, იულონი იყოს ჩვენი მეფეო. ერეკლეს ძე იულონი რატომ არ მოგწონთ?

**მეორე.** ერეკლეს ძეთ — ვახტანგს, ფარნაოზს, მირიანს, ემაგ იულონსაც, საქართველოს გაჩანაგება სურთ. მაგათ სწაღიათ, საქართველო ირანის შაჰის — ბაბა ხანის სამკალი გახადონ, მაგათი ძმა — ალექსანდრე ბაბა ხანის ჯარით ახლაც გარეჯის დგას და ტფილისზე გამოლაშქრებას აპირებს, რომ ქართლ-კახეთი ისევ აგარიანი ეყმოს, ჩვენ კი, დავითის თამაღობით, რუსეთთან ძმობა გვწაღია.

**ლაზარევი.** დარეჯანი? დარეჯან დედოფალი?

**პირველი.** რას ამბობ, ბატონო, ეგ, ხო ოდიშის შვილია, აბა, სადა თქმულა ქართლ-კახეთის მეფე ოდიშელი იყოს!

**მეორე.** იქნებ, მაგაზე თვალიც დაგვეხუჭა, მაგრამა რა ალექსანდრე და რა დარეჯანი, გინდაც იულონი, ეგენი ყველა ერთნი არიან — ბაბა ხანისკენ უჭირავთ თვალი.

**ლაზარევი.** ვგონებ, მართალნი ხართ. მე თქვენს მხარდამჭერად მივუღეთ. თუ რამ დაგჭირდეთ, არ დაგერიდოთ...

**პირველი.** ასე, გენერალო, ჩვენ დავითს შევეფიცეთ და მისი ერთგულნი დავრჩებით.

**ლაზარევი.** ყველაფერს იქ მოვახსენებ, სადაც ჯერ არს.

**პირველი.** ისიც დასძინე, რომ დავითისათვის დავიხოცებით კიდევაც.

**მეორე.** დავითი, მხოლოდ დავითი! (გაღიან)

**ლაზარევი.** იმასაც ვიტყვი, რომ თქვენი მხარე მიჭირავს. კარგად ბრძანდებოდეთ! (მიდის).



**დაბნელება.**

**დედოფალი მარიამი სავარძელში ზის.**

**ლაზარევი (შემოდის).** მოგესალმებით, დედოფალო!

**მარიამი (ადგილიდან არ იძვრის. ცივად).** აი, მანდ დაბრძანდით!

**ლაზარევი (დაჯდება).** გულთბილი მიღებისათვის მადლობას მოგახსენებთ და გისმენთ!

**მარიამი.** ჩემს სულგანათლებულ მეუღლესა და დავითს კოვალენსკიმ და თქვენ ჩამოუტანეთ იმპერატორის სიგელი. ხომ არა ვცდებით?

**ლაზარევი.** არა, არ სცდებით.

**მარიამი.** სიგელში ეწერა, დღესაც სწერია, რომ საქართველოს მეფე იქნება დავითი.

**ლაზარევი.** ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

**მარიამი.** ამიტომ გეკითხებით: დავითის მეფედ კურთხევა რისთვის ყოვნდება?

**ლაზარევი.** სანქტ-პეტერბურგიდან დასტურის ქაღალდი არ მოსულა.

**მარიამი (ცივად).** და ეს გაძლევთ უფლებას, დარეჯან დედოფალს მეფობა აღუთქვამთ? (პაუზა) პასუხს რატომ არ მაძლევთ?

**ლაზარევი.** არაფერი მაქვს სათქმელი.

**მარიამი.** არაფერს იტყვი იმაზე, რაზეც მთელი ტფილისი ლაპარაკობს?

**ლაზარევი.** არა. ტიფლისში საქმის კეთებას სხვებზე საუბარს ამჯობინებ.

**მარიამი.** და, რაც გათხარით, ჭორია? თქვენ დარეჯანს არ შეხედრიხართ?

**ლაზარევი.** დედოფალო, პროტოკოლში არ მიწერია, არც ვთვლი თავს ვალდებულად, მოგახსენოთ თუ ვის ვხვდები და რისთვის.

**მარიამი დაკვირვებით შესცქერის ლაზარეკს, იქნებ, ზიზღითაც კი.**

**ბერიკა.** პოპ, დაიწყო! აი, ამ წუთიდან დაიწყოს, რაც ორიოდ წელიწადში დამთავრდება. ახლა დედოფალი ყურადღებით აცქერდება გენერალს. ლაზარევიც არ იცის, რომ გახსენდება ჟამი და დედოფალი გულში ხანჯალს ჩასცემს, თუმცა ეს ჯერ არც მარიამს დედოფალს იცის.

**მარიამი.** პირველივე დღიდან არ მომეწონეთ, უამური კაცი ჩანხართ, თქვენგან სიცივე მოდის.

**ლაზარევი.** აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, მოგწონდით და გიყვარდით.

**მარიამი.** მიბრძანდით და დაიმახსოვრეთ: თუ დარეჯანთან შეხვედრა დაგიდასტურდათ, საქართველოდან დაგიბოძოთ.

**ლაზარევი (იციინის).** ახლა კი მე მომისმინეთ:

არა მხოლოდ დედოფალ დარეჯანს შეხვები და კვლავაც შეხვებები, იულონსაც, ალექსანდრესაც და, თუ თქვენ რუს გენერალთან საუბრის ტონს არ შეიცვლით...

**მარიამი.** მიბრძანდი, მიბრძანდი-მეთქი!

**დაბნელება.**

**ბერიკა (ციბურტივით ტრიალებს, საცეკვაო ილეთებით უვლის წრეს).** რა ცეკვა-სიმღერა, რა სიხარული იყო ტფილისს 1801 წლის 16 თებერვალს: ეზოებში, ქუჩა-შუკებში, დარბაზებში ისე იღებნენ, თითქოს გამთენიის ხანს მესია უნდა შემოსულიყო ქალაქში. ასეთი სიხარული ტფილისს დღე ხანია არ უქონია – დადგა ნანატრი დღე.

**ლაზარევი (ავანსცენაზე გამოდის).** გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს: მოგახსენებთ, რომ 16 თებერვალს სიონის ტაძარში მოვიწვიეთ ქართველი დიდებულები – სამეფო ოჯახის წევრები, სასულიერო პირნი. მიტროპოლიტმა არსენმა ჩაატარა ლიტურგია, შემდეგ მონვეულთ გაეცანით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის – პავლე პირველის მანიფესტი საქართველოს რუსეთის იმპერიის მარადიულ ქვეშევრდომად აღიარების შესახებ. მანიფესტი მიღებული იქნა დიდი სიხარულითა და მადლიერებას გრძნობით. ამის შემდეგ ანტონ კათალიკოსმა ალაველია ხელმწიფე იმპერატორისა და მისი ოჯახის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ლოცვა. მეორე დღეს იგივე განმეორდა სომხურ – ვანქის – ეკლესიაში. მორიგე მაიორი ტაგანოვი კი 24 კახაით დადიოდა ტიფლისის ქუჩებში და ხალხს რუსულად, ქართულად, სომხურად და თათრულად უკითხავდა მანიფესტის ტექსტს.

**კოვალენსკი.** ჩვენ მშვიდობას მოგიტანთ, ქართველებო, დღეიდან იცხოვრეთ მშვიდად, თქვენ გიცავთ ძლევამოსილი რუსეთი.

**ბერიკა (ქუდს მაღლა შეაგდებს).** იხარე, ჭერო, მოკვდი, მტერო! გაიხარეთ, ქართველებო, მშვიდობა მოდის! (იატაკზე დაჯდება. თვალში ცრემლი გაკრთება.) მშვიდობა... მშვიდობა!.. რა ღირს ეს მშვიდობა?

**თბილისში, მართლაც, დიდი დღესასწაულია. სასულიერო პირნი თუ თავადობა, ხელოსანთა აჭრის წევრები, თუ კინტოები, ახალგაზრდობა თუ მოფარაგატე მოხუცები, ქუჩებში გამოსულან, იხმის მუსიკა. სიმღერები.**

**დაბნელება.**

**ბერიკა (ისევ ავანსცენაზე მოურთხამს ფეხი).** აბა, მე რა ვქნა, აბა, რა ჩემი ბრალია! ისევ ცუდი ამბის

ც.ს.კ.ა.



მაცნე ვარ; სიონის ტაძარში მანიფესტის გამოცხადების დღიდან ერთი თვეც არ იყო გასული, პავლე პირველი თავისივე ლოგინში ჩაჰკლეს. კიდევ ერთ თვეში პეტერბურგის ამ ნათელ დარბაზში სახელმწიფოს დიდი გვამები შეიკრიბნენ.

**შუქი სცენაზე.**

**1801 წლის 15 აპრილი. სანკტ-პეტერბურგი. საჯაროებში სხედან ხანმოკლე, დინჯად მოუზარო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრები: ზოლოტარევი, ვესევი და საბჭოს თავმჯდომარე. განცალკევებით – გრაფი მუსინ-პუშკინი და თავადი გარსევან ქაჭავაძე.**

**თავმჯდომარე.** დიახ, აი, რისთვის შეგანუხეთ... (ქალღებში რალაცას დაეძებს.) დიახ, ხელმწიფე იმპერატორი, თვითმპყრობელი რუსეთისა ალექსანდრე პირველი მოითხოვს, კიდევ ერთხელ განვიხილოთ საქართველოს საკითხი.

**ვესევი.** უკვე მესამე!

**თავმჯდომარე.** რატომ მესამე? ჩვენ ოთხი დღის წინათ განვიხილეთ საქართველოს საკითხი და დაედაგინეთ, რომ რუსეთმა ქვეშევრდომად უნდა მიიღოს საქართველო.

**ვესევი.** თქვენ აღმატებულბავ, საქართველოზე პირველად შარშან ვიმსჯელეთ, მაშინ თქვენ ჩვენთან არ იყავით.

**ზოლოტარევი.** ეს იყო მაშინ, როცა გრაფმა (მუსინ-პუშკინზე მიათითებს) ნეტარსენებულ იმპერატორს პავლეს წერილი მისწერა, საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომად მიღებაზე უარისთქმა დიდი შეცდომააო.

**ვესევი.** იმპერატორმა ჩვენი აზრი გაიზიარა, გამოსცა მანიფესტი (იქნებ, ცოტა საყვედურითაც: ეს საკითხი გადაწყვეტილია), საქართველო უკვე გახსნათ რუსეთის გუბერნია.

**თავმჯდომარე (ხაზგასმულად).** რუსეთის ახალი იმპერატორი ჰყავს.

**მუსინ-პუშკინი.** თქვენ ოთხი დღის წინათ კიდევ ერთხელ დაედაგინეთ უკვე დადგენილი: საქართველო უნდა იყოს რუსეთის გუბერნია.

**თავმჯდომარე (პაუზის შემდეგ).** უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი უმაღლესობა, თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა იმპერატორი ალექსანდრე პირველი არ არის კმაყოფილი. იმპერატორს რჩება მთავიწყდილება, რომ საბჭომ არ გაითვალისწინა, თუ რა საფრთხე მოსდევს საქართველოს შემოერთებას. ხვალ საბჭოს დანარჩენ წევრებს უნდა მოვახსენოთ ჩვენი აზრი და გამოვიტანოთ საბოლოო გადაწყვეტილება. მოვიწვიე და პატივი დაგვდო გრაფმა

მუსინ-პუშკინმა, ასევე მოვიწვიე საქართველოს ელჩი იმპერატორის კარზე თავადი ქაჭავაძე.

**მუსინ-პუშკინი.** იქნებ, გვიბრძანოთ, რა არ მოსწონს იმპერატორს, რატომ გახდა აუცილებელი საკითხის ხელახლა – მესამედ განხილვა?

**თავმჯდომარე.** დღეს რუსეთის ხელმწიფე გახლავთ ალექსანდრე პირველი. იგი მიიჩნევს, რომ... იმპერატორი შიშობს, რომ... გამოსთქვამს ეჭვს... საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადება ცოდაა... საქართველო არის დიდი ისტორიის სამეფო, რატომ უნდა ჩავიდინოთ დანაშაული ტახტის მემკვიდრეთა მიმართ?..

**მუსინ-პუშკინი.** ჩვენ ხომ ვალიარებთ ტახტის მემკვიდრეთა უფლებას!

**თავმჯდომარე.** თავადო, (ქალღებს დაეძებს. კითხვა უჭირს), ვახტანგ... ეს ყოფილა ძე მეფისა ირაკლი... ირაკლისა. იგი თხოულობს, საქართველოში არ იყოს მეფე, საქართველო მართოს რუსეთმა. ამასვე თხოულობენ საქართველოს საუკეთესო შვილები, მაგალითად, მუხშა... მუხრანბატონი...

**ქაჭავაძე.** ტახტის მემკვიდრედ აღიარებული უფლისწული დავითი. იმპერატორმა პავლე პირველმა ორჯერ დაადასტურა თავისი ნება: საქართველოს მეფე იქნება უფლისწული დავითი, ძე გიორგისა.

**თავმჯდომარე.** და საქართველოს საუკეთესო შვილთა სურვილი არად ჩავაგდოთ? (პაუზა) არა ვგვბნის, საჭირო იყოს კიდევ ერთხელ შესხენება: რუსეთს ახალი იმპერატორი – ალექსანდრე პირველი განაგებს.

**ქაჭავაძე.** დიდებულნო, დაამტკიცეთ საქართველოს მეფე ისე, როგორც ორი ხელმწიფე შეთანხმდა და ცოდავ არავის დაედეგ. პირიქით – ქართველი ხალხი კვლავ გაიხარებს.

**თავმჯდომარე.** რომელი? ვინ დაეამტკიცოთ მეფედ? მეფობისათვის იბრძვის იულონი – ძე ერეკლე მეფისა; კახეთი დავითს აცხადებს მეფედ, ქართლი – იულონს. საქართველოს მეფობა სურს ერეკლეს ქვირის – დარეჯანს.

**მუსინ-პუშკინი.** თუ ჩვენ შევიძლია ირანისაგან დავიცვათ საქართველო, დავიცვათ ისინი ქართველებისაგანაც.

**ვესევი.** საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომად მიღება ათას თავსატეხს გაგვიჩენს. ეს ის ტვირთია, რომლის ტარება ჩვენს იმპერიას არ სჭირდება. იცით თუ არა თქვენ, რა ხდება საქართველოში? იქ სამეფო ოჯახის ყოველი წევრი ერთმანეთს ებრძვის, ქვეყანა ღონის პირასაა, ქართველები ადამიანებით ვაჭრობენ – თავ-თავიანთ მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, შვილებსაც კი უცხოელუბზე ჰყიდნიან.

**ზოლოტარევი.** ეს ცნობა გუშინ მეც მომანოდას.



გამოქნა, ჩვენ უნდა დავიწყოთ ამ ადამიანების გარდაქმნა. გავხადოთ ჰუმანური და კანონმორჩილი. რადენიც დრო, ბრძოლა დასჭირდება ამას? რა იქნება შედეგი? გამოცდილება გვასწავლის, კანონიერებისაკენ მომზადებული არ უყვართ – ისინი შეგვიტულებენ ჩვენ.

**ჭავჭავაძე.** ნება მომეცით, მოგახსენოთ: ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, ამაო შიშია. რაც შეეხება სიძულვილს, ეს არ მოხდება!

**ვესევი.** ეს არ მოხდება უახლოეს წლებში იმიტომ, რომ საქართველოს უჭირს. დღეს ძალიან ძვიზრდები არიან, მაგრამ ხვალ, როცა ჩვენ მათ აღვზრდით, ვასწავლით, სულს მოითქვამენ, მოღონიერდებიან, გაძლიერდებიან? მე ვიყავი საქართველოს შემოერთების მომხრე, მაგრამ გუშინ ისეთი ეკუშენტიები გადმოძვცეს... მაგათმა წინა მეფემ კატორინას უღალატა: ოტომანებთან მაშინ დასდო ხელშეკრულება, როცა ჩვენ მათთან ომი გვეჭნდა. რისთვის გვეჭირდება საქართველოს შემოერთება? რას მისცემს ეს რუსეთს, გარდა სახელის გატეხვისა და ზედმეტი ხარჯისა?

**ზოლოტარევი.** მეც გამიჩნდა შეკითხვა: რატომ, რისთვის?

**თავმჯდომარე.** როგორც ჩანს, საქართველო ვერ ასცდება ძმათა ომს. ქართველთა ომში რუსი ჯარისკაცი რატომ დაიღუპოს?.. (შემოდის ოფიცერი. თავმჯდომარეს რაღაცას ჩასჩურჩულებს, თავმჯდომარე თავს უკრავს.) ბატონებო, თქვენთვის ცნობილია, რომ იმპერატორმა ჩამოაყალიბა არაოფიციალური კომიტეტი. უცნობია, თუ ვინ არიან კომიტეტის წევრები და არც არასოდეს ვახდებთ ცნობილი. ჩვენთან მობრძანდა რუსეთის იმპერიის არაოფიციალური კომიტეტის გენერალ-პროკურორი ბეკლუშევი.

**ბეკლუშევი (შემოდის, ლაპარაკობს ხმადაბლა, მბრძანებლური ტონით).** მოგესალმებით, დრო ძალიან ცოტა მაქვს. მოვედი, რათა გაუწყნოთ: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა უაღრესი ზიზღით ეკიდება რუსეთის გამგებლობაში საქართველოს სამარადისოდ შემოერთებას. იმპერატორს უსამართლოდ მიაჩნია სხვათა მიწის მითვისება. ამას გაუწყვებთ, რათა გაითვალისწინოთ გადაწყვეტილების გამოტანისას. თქვენი გადაწყვეტილება იმპერატორის სურვილს უნდა ითვალისწინებდეს.

**თავმჯდომარე.** დიდად გმადლობთ, გენერალ-პროკურორი, თქვენი ცნობა ძალიან საჭიროა (საბჭოს წევრებს.) ხომ არასფერო დასძენდით?

**ვესევი.** მე უკვე ვიკითხე, რატომ, რისთვის გვეჭირდება-მეთქი ასეთი მსხვერპლი.

**თავმჯდომარე.** დიახ, გიდასტურებთ.

**ზოლოტარევი.** და მე დავეთანხმე.

**თავმჯდომარე.** თქვენც გიდასტურებთ. რალა დაგერჩა? ხვალ საბჭოს მოვახსენოთ ჩვენი აზრი.

**ჭავჭავაძე.** მე გთხოვთ, სახელმწიფო საბჭოს წევრებს ისიც მოახსენოთ, რომ ქართველი ხალხი რუსეთის დიად და სამართლიან ქვეყანად ისახავს თქვენი ასეთი გადაწყვეტილება არ დადასტურებს ჩემი ხალხის წარმოდგენას რუსეთზე.

**უხერხული დუმილი.**

**მუსინ-პუშკინი.** სახელმწიფო საბჭოს წევრებო, მადლობას მოვახსენებთ აქ მოწვევისათვის და, რახან მომიწვიეთ, მოვითხოვ, გაითვალისწინოთ ჩემი აზრი: რუსეთმა საქართველო აუცილებლად უნდა შეიერთოს...

**თავმჯდომარე.** აუცილებლად?

**მუსინ-პუშკინი (ხაზგასმით).** დიახ, აუცილებლად.

**ვესევი (ანვეყვინებს).** და მათ შინაომს რუსი ჯარისკაცი შეენიროს?

**მუსინ-პუშკინი.** ცხადია, უნდა შეენიროს – ვინ მოვახსენათ, რომ იმპერია უმხვევრპლოდ იქმნება. მაგ ქვეყანაზე უფლება მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა რუსები იქ სისხლს დაღვრიან. ის სისხლი საკუთრების მოწმობა იქნება. დიახ, საქართველო აუცილებლად უნდა შევიერთოთ. პირველი და მთავარი მიზანი: მართლმადიდებელი ერი გადავარჩინოთ სისხლისღვრას (ბეკლუშევს) თქვენ – სახელმწიფოს არაოფიციალური კომიტეტის გენერალ-პროკურორი, ვადებულოდ ხართ, იმპერატორს მოახსენოთ და, თუ თქვენ არ მოახსენებთ, მე ისევ მივწერ წერილს.

**ბეკლუშევი (ირონიით).** თქვენს წერილებს პავლე პირველი კითხულობდა.

**მუსინ-პუშკინი.** თქვენ არც მოგწერთ. ბატონებო, სპარსეთის მბრძანებელმა ტიფლისი გაანადგურა იმის გამო, რომ ერეკლე მეფემ რუსეთისკენ იქცა პირი. ყველამ შეიტიყვეთ, როგორ იზივმა ხალხმ რუსეთის ქვეშევრდომად მიღების მანიფესტი. უსაზღვრო იყო მათი სიხარული. დღეს თქვენ გინდათ, გააუქმოთ ეს მანიფესტი (ბეკლუშევს) ის, რასაც თქვენ აპირებთ, ქართველი ხალხის განირვას ნიშნავს – საქართველოდან რუსეთის ჯარის გამოსვლიდან ერთ თვეში ირანი შურს იძიებს საქართველოზე, გაანადგურებს, მოსპობს ამ ქვეყანას, ხალხს. თქვენ გინდათ მხეცს მიუგდოთ ქართველი ხალხი და ეს არის ჩემი ქვეყნის სიდადეგ?!  
**დუმილი.**

**თავმჯდომარე.** საქართველომ უღალატა სპარსეთს, უღალატა გეორგიევსკის ტრაქტატს. ხომ შეიძლება გვიღალატოს ჩვენც?

ც.ს.კ.

# ღრმატურები

**მუსინ-პუშკინი.** შეიძლება. თუ ჩვენ მოვიტყვევით არაქრისტიანულად, ასეც მოხდება. მაგრამ მთავარი სხვა რამ არის – დღეს თქვენ აშოშვლებთ რუსეთის სამხრეთის საზღვრებს და უარს ამბობთ, მოთოკოთ კავკასიის მთიელები.

**თამაჯლომარე.** ეგ როგორ!  
**მუსინ-პუშკინი.** თუ ჩვენი ჯარი საქართველოს დატოვებს, კავკასიის მთიელებს ჩვენ ვერასოდეს დავაპარცხებთ.

**თამაჯლომარე.** გრაფ, მეტისმეტად გადაჭარბებული ხომ არ არის საქართველოზე თქვენი წარმოდგენა?

**მუსინ-პუშკინი.** გადაჭარბებულია მოგჩვენებათ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება: მხოლოდ ოტომანთა იმპერიის აგენტს შეუძლია, ხელმწიფე იმპერატორს ურჩიოს პავლე პრიველის ტრაქტატზე უარის თქმა! მე ეჭვი მაქვს, რომ გენერალ-პროკურორი ოსმალეთის აგენტია.

**თამაჯლომარე (გაცხარებული).** რას ამბობთ, გრაფ!

**მუსინ-პუშკინი (თამაჯლომარეს).** იქნებ, თქვენც! დაბ, ორივენი ოტომანთა იმპერიის საქმეს აკეთებთ.

**ესევეი.** ეს რამ გაფიქრებინათ!  
**ზოლოტარევი.** ეს შეურაცხყოფა!

**თამაჯლომარე.** აჩქარდით, გრაფ!

**ბეკლუშვი.** მე გთხოვთ, დააჩქაროთ!

**მუსინ-პუშკინი.** რომელიმე თქვენგანს თუ უფიქრია, რა ნაბიჯს გადადგამს ჩვენგან მიტოვებული საქართველო, რას მოიმოქმედებს თავის გადასარჩენად? (პაუზა) ვინ მიპასუხებს? ამაზე არ გიფიქრიათ. იმისათვის რომ ირანელებისაგან თავი დაიცვას, საქართველო ოტომანთა იმპერიის ქვეშევრდომობას მოითხოვს. იგი გახდება ოტომანთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი და, იცით, რა მოჰყვება ამას? არა, არ იცით, თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ: თუ საქართველო ოტომანთა იმპერიის ქვეშევრდომი გახდება, მშვიდობით, რუსეთის სამხრეთით, მშვიდობით, კავკასიაზე!

**თამაჯლომარე.** ეგ საიდან მოიტანეთ!

**მუსინ-პუშკინი.** ეგ კიდევ არაფერი, თქვენი ასეთი უაზრო გადაწყვეტილება ხვალ რუსეთის დაეკარგვინებს ყირიმს – საქართველოში დაბანაკებულ ოსმალეთს ყირიმისათვის ბრძოლა გაუადვილდება. დღეს თქვენ ქრისტიანული საქართველოს დაცვაზე კი არ ამბობთ უარს, დღეს თქვენ აერთიანებთ ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმებს, ყირიმის თათრებს და ოტომანთა იმპერიას, აერთიანებთ რუსეთის წინააღმდეგ. მეტსაც გეტყვით...

**ბეკლუშვი (სწყვეტიანებს).** შესვენება, გამოაცხადეთ შესვენება ერთი საათით! (გარბის.)  
**დაბნელება.**

## იგივე დარბაზი რამდენიმე საათის შემდეგ.

**ზოლოტარევი (თამაჯლომარეს).** იქნებ, ვინმე გაგვეზავნა გენერალ-პროკურორთან?

**ესევეი.** თითქმის სამი საათია, წავიდა.

**თამაჯლომარე.** ქვემოთ, მორიგე ოფიცერს ძალიან გემრიელი ბლინები დაუტყვია. გნებავთ, წითელი ხიზილალით, ვნებავთ, მურაბით...

**ზოლოტარევი.** მზე ჩადის.

**თამაჯლომარე.** მოთმინება, ბატონებო, მოთმინება! (მუსინ-პუშკინს) თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ქართველ ხალხს ძალიან სწადია რუსეთის ქვეშევრდომობა?

**მუსინ-პუშკინი.** ლოცვა გმართებთ, იმის გამო, რომ ქართველები ძალიან ერთგულევენ ქრისტიანობას.

**თამაჯლომარე.** საინტერესოა! (ჭაჭყაძეს) თავადო, მართალია, რომ საქართველოში სექტემბერშიც მზე აცხუნებს?

**ჭაჭყაძე.** ოქტომბერშიც, ნოემბერშიც, მონყალეო ხელმწიფე!

**თამაჯლომარე.** კი, მაგრამ ეს როგორ, ეს როგორ შეიძლება!

**ბეკლუშვი (შემოდის).** გთხოვთ, დაგვიანება მომიტყვევით.

**თამაჯლომარე.** მობრძანდით, გენერალ-პროკურორი, გელდებით. საბჭოს წევრებს ვთხოვ, დაიკავონ ადგილები. სხდომას განვაგრძობთ. გთხოვთ, გენერალ-პროკურორო!

## საბჭოს წევრები ადგილებს იკავებენ.

**ბეკლუშვი.** იმპერატორი ალექსანდრე პირველი ხელმძღვანელობს ერთადერთი პრინციპით: ქართველ ხალხს ძალიან სწადია რუსეთის ქვეშევრდომობა, იმპერატორისათვის უმთავრესია ქართველი ხალხის მშვიდობა, კეთილდღეობა. ამიტომ ხელმწიფე იმპერატორი კეთილინებებს გამოთქვას კმაყოფილება, თუ სახელმწიფო საბჭო ძალაში დატოვებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებას.

**ჭაჭყაძე (პირჯვარს იწერს).** მაღლობა ღმერთს!  
**ბეკლუშვი.** იმის გამო, რომ რუსეთი ყველაფერზე მაღლა აყენებს ქართველი ხალხის სურვილს, დავადგინოთ – პირველი: საქართველოში დარჩეს რუსეთის ჯარი. მეორე: საქართველო დავყოთ შვიდ უზუზად და დავამყაროთ რუსეთის დროებითი პირდაპირი მმართველობა. მესამე: საქართველოში გავგზავნოთ ისეთი გუბერნატორი, რომელიც შეძლებს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობას.

**ჭაჭყაძე.** კი, მაგრამ... მეფე? ქართველი მეფე?



**ბეკლშვივი.** არა, არა! საქართველოში იქნება რუსეთის პირდაპირი მმართველობა, ამას თხოულობენ საქართველოს ღირსეული ადამიანები.

**ჭავჭავაძე.** საქართველოს სამეფო? საქართველოს ათსაუკუნოვანი სამეფო? სამეფო აღარ იქნება? სამეფო გაუქმდება?

**ბეკლშვივი.** თავადო, მე გასაგებად ვთქვი: საქართველოში დამყარდება რუსეთის დროებითი, დრო-ე-ბითი, პირდაპირი მმართველობა. საქართველოში რუსეთის ხელისუფლებას აღასრულებს პეტერბურგიდან გაგზავნილი გუბერნატორი. თქვენ არა გაქვეთ უკმაყოფილებს საბაბი.

**თაყვალმარე.** ეს არის ბრძნული გადანყვეტილება – ქართველ ხალხს ჯერ გასწავლოთ, თაობები აღეზარდეთ, მერე კი... მერე დაეფიქრდეთ.

**ჭავჭავაძე (გატყბილი).** არა, რასაკვირველია, არა! სახელმწიფო საბჭოს ძვირფასო წევრებო, საქართველოს სამეფოს ბრძოლა უზღებოდა ბიზანტიასთან, მონღოლებთან, ოსმალებთან, ირანთან. გვიპყრობდნენ კიდევ, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფო, ქართული ეკლესია არასოდეს გაუთქმებიათ, ჩვენ მუდამ გვყავდა ჩვენი მეფე... თუ რუსეთის ჯარი ხვალ საქართველოდან გავა, ირანელები შემოგვესივან, მაგრამ საქართველოს სამეფო ტახტს არ გააუქმებენ...

**ბეკლშვივი (ანყვეტივნებს).** ხელმწიფე იმპერატორმა ეს გადანყვეტილება ქართველი ხალხის სიბრაულთით მიიღო. ეს არის ქართველი ხალხის სასარგებლოდ გამოტანილი გადანყვეტილება და არ შეიცვლება.

**ჭავჭავაძე.** თქვენ დღეს დაიცავით საქართველოს სახელმწიფო, მაგრამ ომი გამოუცხადეთ ქართველ ხალხს, – მას უყვარს თავისი მეფე! მე, საქართველოს ელჩს რუსეთში, არ შემიძლია, ქვეყანას სამეფო ტახტის გაუქმება ვაუწყო... **(ყვლილ რალაც მოაწვება.)** ნუ დამძახავთ... მე გტოვებ სხდომას... ეს ომი დიდი შეცდომაა.

**აუჩქარებლად, მძიმე ნაბიჯით მიდის. ხანგრძლივი დუმილი.**

**მუსინ-პუშკინი.** ჩემო თანამემამულენო, რუსებო, ჩემო ძმებო... მე მიხარია, რომ დედა-რუსეთი იზრდება, ძლიერდება, მე ვიბრძვი ამისთვის, მე მწადაი, რუსული ჩემმა მალე ჩავერცხობი ინდოეთის თბილ წყლებში, მაგრამ აღმამყოფებს ჩვენი დიდი მეფის მრჩეველთა გონების სიწმუნე. ჩვენ დღეს მოწმე ვაგვხდით დიდი უზნეობის, ეს უზნეობა რუს კაცს ასი, ორასი წლის შემდეგ დაუშუქავს ცხვირ-პირს.

**ბეკლშვივი.** ფრთხილად, გრაფ, ცეცხლს ეთამაშებით!

**მუსინ-პუშკინი.** მე ფრთხილად ვერ ვიტყები და არც უნდა ვიყო მაშინ, როცა გსურთ, რუსეთის მეგობრები მონებად აქცითო. ვიცი, ვგრძობო, ხვალ ეს რას მოუტანს ჩემს ხალხს. ასე რატომ, რისთვის გაქვთ რუსეთი, რა დაგიპიჯათ!

**ბეკლშვივი.** გიკრძალავთ, ახლავე შეწყვიტეთ!

**მუსინ-პუშკინი.** ახლავა მიგხვდით თუ რატომ ამბობთ ღირს საქართველოს შეერთებაზე, ახლავა მიგხვდით, როგორ გაგვათამაშეთ: თქვენ ხომ სამეფოს გაუქმება გქონდათ გადანყვეტილი და არა საქართველოს დატოვება. ამისთვის წამოიწყეთ ეს თამაში...

**თაყვალმარე (სწყვეტივნებს).** თქვენ ისევ ჩქარობთ, გრაფ!

**მუსინ-პუშკინი.** დღეს თქვენ საქართველოში რუსეთისადმი წინააღმდეგობას დაუდეთ სათავე, თქვენ დღეს ქართველ ხალხს წაართვით სანუკვარი და მიეცით საბაბი, კრიჭაში ჩაუდგეს რუსეთს!

**თაყვალმარე (ყვირის).** ეს მკერხელობა!

**მუსინ-პუშკინი.** თქვენ გაქვთ ჩემი ქვეყანა! სახელს უტყბით ჩემს სამშობლოს!

**ბეკლშვივი.** გაიყვანეთ!

**მუსინ-პუშკინი.** ეს რუსეთის ღალატია. მე არ მინდა, ებრძოდნენ რუსეთს, მე მინდა სიყვარულის მეგობრობის იმპერია!

**ბეკლშვივი (ყვირის).** Молчать!

**ამ სიტყვების ხმოვნება თანდათან ძლიერდება, მთელ დარბაზს ედება.**

– Молчать! Молчать!

დაბნელება.

**ბერიკა.** კოვალენსკი დილაადრიან ეწვია ვახტანგს. რა მოუტანა კოვალენსკიმ მეფე ერეკლეს ძეს?

**კოვალენსკი.** მინდა გამოვხატო აღფრთოვანება, თავადო! რუსეთის სამეფო კარი აღიარებს თქვენს შორისმჭერტელობას, **(ვახტანგი უნდობლად, ეჭვით შესცქერის კოვალენსკის.)** პირველად თქვენ გაცხადეთ ქართველი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება, ეცხოვრა რუსეთის იმპერატორის შიშს ქვეშ, თქვენ მოინადინეთ, საქართველო უშუალოდ რუსეთის იმპერატორს ემართა. **(ვახტანგი თავს ცივად აქნებს.)** სამეფო კარი დიდად აფასებს თქვენს გამჭირაობას – ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა თქვენ გამოწახეთ. **(ვახტანგი ამოიხიბრება.)** სულ რაღაც ორი-სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის ნაწილი გახდა და ქვეყანამ ამოისუნთქა. დამშვიდება საქართველო, მრავლდება, მოსავალი მოჰყავს...

## ღრამატურბიბა

**ვახტანგი (ცივაღ).** რისთვის მობრძანებულხართ, ბატონო მინისტრო?!

**კოვალენსკი.** როგორც გითხარით, რუსეთის სამპერატორო კარი დიდად აფასებს თქვენს შორსმჭვრეტელობას, რუსეთისადმი მეგობრულ დამოკიდებულებას. **(ვახტანგი ისევ ამოიხიზრებს.)** ამიტომ იმპერატორმა სარატოვში გამოგვიყოთ ადგილ-მამული. ამიერიდან იქ იცხოვრებთ.

**ვახტანგი (შეძრწუნებული).** რას ამბობთ, მინისტრო!

**კოვალენსკი.** ოჯახი შეამზადეთ!  
**ვახტანგი.** საქართველოს მეფის ნულს სარატოვში რა უნდა!

**კოვალენსკი.** საქართველოს სამეფო აღარ არსებობს, ცხადია, არც მეფის ნული არსებობს, ხოლო თქვენ რუსეთის მეფე დამსახურებისათვის ადგილმამულს გრუქნით.

**ვახტანგი.** საქართველოდან მასახლებთ?  
**კოვალენსკი (პაუზის შემდეგ).** ხვალ დილიდან საქართველოში ცხოვრება გეკრძალებათ.

### დუმილი.

**ვახტანგი.** ქართველმა ხალხმა არ დამსაჯა იმისთვის, რაც მე მას ვუყავ, სასჯელით რუსეთის იმპერატორმა დამასაჩუქრა.

**კოვალენსკი.** მზის ამოსვლამდე გზას უნდა დადგეთ. კახაკების რაზმი გაგაცილებთ. მოეშვა-დეთ!

**ვახტანგი (მინაზე დუშუბა).** თავჩაქინდრული ზის. თითქმის თავისთვის). მე მიყვარდა ჩემი ქვეყანა, მაგრამ სიყვარული საემარისი არ ყოფილა. კიდეც რაღაც სხვა... კიდეც რაღაც სხვა...

**კოვალენსკი.** ეტლი, კახაკები გელოდებიან. დაყონებას არ გირჩევთ.

### გადის. დაბნელება.

**დავით და ლაზარევი.**

**ბერიკა.** უგდეთ ყური, კარგად უსმინეთ! გენერალი ლაზარევი დამცინავდ ესაუბრება დავითს, კაცს, რომელსაც საქართველოს მომავალ მეფედ აცხადებდნენ.

**დავითი.** არწივი ტყვეობას ვერ უძლებს, გენერალო!

**ლაზარევი (იციინს).** რომელ ტყვეობაზე ლაპარაკობ, დავით. ხომ ხედავ, სიკეთე როგორ შეიფერა საქართველომ. ლეკები ვეღარ დათარეშობენ, ხალხი მრავლდება, მოსავალი მოჰყავს, ეზო-მამულს მიხედა, ახალგაზრდები რუსეთის უნივერსიტეტებს ეტანებიან, განათლებულნი დაუბრუნდ-

ბიან სამშობლოს. 10-20 წელიწადში საქართველო სულ სხვა ქვეყანა იქნება!

**დავითი.** და მინც ტყვე! არწივები კი ტყვეობაში ვერ ძლებენ!

**ლაზარევი.** არწივები ტყვეობაში არ ექცევიან, თავად!

**დავითი (უსწორებს).** ტახტის მემკვიდრე!

**ლაზარევი (იციინს).** ეგ ამბავი დაივწყით! მეფის ნულსაც ნარსულია – შენ რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივი მოქალაქე ხარ და შუაგულ რუსეთში იცხოვრებ – იმპერატორმა ხომ ადგილ-მამული გაჩუქა.

**დავითი.** რუსეთში რა მინდა – ჩემი სამშობლო აქ არის.

**ლაზარევი.** შენი სამშობლო მთელი რუსეთის იმპერია!

**დავითი.** საქართველოს მეფის ნულს ჩემი ქვეყნიდან მაძეგებთ?

**ლაზარევი.** ცხარე სიტყვებით, შეძახილებით ხალხს აბრძვებთ, იმას კი არ ეუბნებით, მაგ თქვენი უსაქმურობით, ქიშპით, კანონის სიძულელით როგორ დააჩაჩანაკეთ ქვეყანა. ჯერ გვემუდარებოდით, გვისხენით, გადაგვარჩინეთო, ახლა კი, რუსებმა სამეფო გავიუქმესო, ხალხს გვიმხედრებთ. ამ საბრალო, მიმნდობ ხალხს კი სჯერა თქვენი. მზად არის, თავიც გასწიროს. იმპერიის უშიშროებისათვის სჯობს, რუსეთში მშვიდად იცხოვროთ!

**დავითი.** მაგ იმპერიის უშიშროება მე ჩალად მიიღრს. ან ახლავე გადათქვი, რაც ნამოროშე, ან ხანჯალს ნამოგაგებ, ფლიდო! **(ხანჯალს ამოშვლებს.)** სამშობლოს ურცხვად მართმე და მამუნათე კიდე!

**ლაზარევი.** ეგ სამშობლო მე არ ნამირთმევი, შენ შემომაჩქევე!

**დავითი.** ყაჩაღო, არამზადავ! **(გაექანება, რომ ხანჯალი ჩასცხოს, კახაკები გადაუდგებიან, ხანჯალს ნაართმევენ.)**

**ლაზარევი.** მუხლებზე, მუხლებზე დადგეს!  
**კახაკები დავითს მუხლებზე დასცემენ.**

**დავითი.** ყაჩაღებო!  
**ლაზარევი.** არც არავინ მოუშვათ, არც არსად გაუშვათ. აქ იმდენ ხანს გაჩერდით, რამდენიც ბარგის შეკერას დასჭირდება.

**დავითი.** ყაჩაღებო, ყაჩაღებო!  
**ლაზარევი.** ეტლები მზად არის, დღესვე დაადგებით გზას! **(გადის.)**

### დაბნელება.

ნაღვლიან მგზავრულ სიმღერას ეტლის ხმაური მოსდევს. ეტლის ჩქარი სვლა უტყვე შეწყდება. შემოდის მუხრანბატონი – ძალანართმეული, დაბერებული. უილაჯოდ მიმოიხედავს.

**მუხრანბატონი.** პორუჩიკო!  
 პორუჩიკი (შემოდის). დიახ, გისმენთ!  
 მუხრანბატონი. სადა ვართ?

**პორუჩიკი.** იქით რუსეთი იყო, აქეთ საქართველო. დღეს იქითაც რუსეთია და აქეთაც.

**მუხრანბატონი (ხანგრძლივი დუმილის შემდეგ).**  
 მაშ, საქართველო აქ მთავრდება?

**პორუჩიკი.** დიდხანს ვერ შევჩერდებით, სარდალო, დაღამებამდე მდინარე უნდა გადავიაროთ... იქ სხვა ოფიცერს გადავცემთ და მე უკან დაებრუნდები.

**მუხრანბატონი.** საქართველოში? ტფილისში?

**პორუჩიკი.** ჰო, ტფილისში. (მოისმის ეტლის ხმა) დავით ბაგრატიონის ეტლმა ჩაიქროლა. ნურც ჩვენ შევეყოვნდებით.

**მუხრანბატონი.** მშვიდად იყავით, პორუჩიკო... შეგიძლიათ, მუხლი გამართოთ.

**პორუჩიკი.** მშვიდად ვარ. სად უნდა გაიქცეთ, ყველგან რუსეთია. (ეტლი ჩაიქროლებს.) ეს კი ორბელიანის ეტლია.

**მუხრანბატონი.** ჰო, ორბელიანიც... გაიარაგამოიარე... (ეტლი ჩაიქროლებს.)

**პორუჩიკი.** ეს, ვგონებ, დარეჯან დედოფლის ეტლი იყო. (გადის).

**მუხრანბატონი (გზისკენ იცქირება, რომელიღაც ეტლს თვალს აყოლებს).** სად მიდიხართ, სვეუბედურნო... ეგრე როგორ ტოვებთ დაკარგულ მამულს... ეს მინა არ გენანებათ? მე ჩემს წინაპრებთან ნავალ... მივალ, რათა ჩემს ცოდვებზე ველაპარაკო... ჩემს წინდაუხედაობაზე... ღმერთმაც იცის, მამული მიყვარდა, მაგრამ ეგრე რომ გამოვიდა?

**ეტლი ჩაიქროლებს.**

ნუ გარბიხართ, ნუ მიდიხართ, აქ დაიმარხეთ, აქ ჩაყარეთ წინდაუხედავთა ძვლები...

(გარუმდება. გულდანყვევტილი.) გამოდის, მე თქვენზე ბედნიერი ვარ... ჭკვიანიც.

**ხანჯალს გულში ჩაიკვამს.**

შემინდე, მშობლიური მინავე, მიიღე ჩემი ცოდვილი ძვლები. (ჩაიკვება, მინას მუშტში მოიქცევს) რა კარგია, რა მშვენიერია ეს წამი...

**ეტლი ჩაიქროლებს.**

ყველას გაჯობეთ, თქვენ მიდიხართ, მე აქ ვრჩები... ვრჩები... ჩემს მინაში... ჩემს მინა... ჩემი ქვეყ... მინა მუშტიდან უცვივია.

**პორუჩიკი (შემოდის).** ვიგვიანებთ, თავადო... დავიძრათ... (მუხრანბატონს მინაზე შენიშნავს.)

თავადო, თავადო! (მუხრანბატონის ნეშტთან დაიხრება.) გა-სა-გე-ბი-ა... არადა, არც კი იცის, რა სამსახური გაუნია სამშობლოს... მაინც უცნაური ხალხია: ან სახეგაბრწყინებული ცაში უნდა ფრინავდნენ, ან კიდევ აი, ასე...

**მოისმის ქართველი გლეხკაცის შევივლება, მერე ხმადაბალი მოთქმა, თუ გოდება.**

ფარდა.  
 2009